ეროვნული ბიბლიოთეკა

619
1968



# დროშა

№ 10 ოქტომბერი 1968

# ივანე ჯავახიშვილის სიტყვიდან

როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სათავეში მდგომს, როგორც მის ოფიციალურ წარმომადგენელს, მე დავალებული მაქვს მივესალმო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის ცაკის სესიას და სახალხო კომისართა საბჭოს, რომელთაც, დასამტკიცებლად იმისა, რომ საქართველო წარმოადგენს თანასწორუფლებიან წევრს რესპუბლიკების კავშირში, მორიგი წესიის ადგილად აირჩიეს საქართველოს დედაქალაქი — თბილისი.

საქართველოს და ქართველებს, რომელთაც მრავალსაუკუნიანი კულტურული წარსული აქვთ, მდიდარი, მეტად საინტერესო ისტორიული ხანებით და მომენტებით, მშვენიერი მრავალფეროვანი ლიტერატურით, რომელსაც თავის ხაგანძურში მოეპოვება ჩვენი ერის ჯერ კიდევ პირველი საუკუნის ნაწარმოებნი და გენიალური შოთა რუსთაველის უკვდავი თხზულება, არქიტექტურულ და საჩუქურთმო ხელოვნების საუცხოო ძეგლებით, რომლებსაც ბედის უკუღმა ტრიალის წყალობით არაერთხელ განუცდიათ მონობის უღელი და საშინელებანი, კვლავ მიეცათ საშუალება სახელმწიფოებრივი და კულტურული აღორძინებისა, და ამ მომენტიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გარდა თავისი უშუალო ამოცანის სამსახურისა, იღებდა, იღებს და ყოველთვის მიიღებს აქტიურ მონაწილეობას საქართველოს მთავრობის კულტურულ აღმშენებლობაში, ხალხის ასაყვავებლად და საკეთილდღეოდ.

გაზეთი „კომუნისტი", 1925 წელი, 10 მარტი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 10 (383) ოქტომბერი, 1968 წ.

გამოცემის წელი 46-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

# [illegible]



10. 706

მთელი მოწინავე კაცობრიობა ღრმესი ყურადღებით კითხულობს ლენინის ნაშრომებს. წიგნები, რომლებიც ყველაზე დიდი ტირაჟებით გამოდის მთელ მსოფლიოში, ყველა ენაზე — ეს ლენინის წიგნებია. ეს არის კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ ლენინის იდეები სულ უფრო და უფრო ვრცელდება მთელს ჩვენს პლანეტაზე. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მისი ნაწარმოებების ბიბლიოთეკა შეივსება მილიონობით ეგზემპლარებით.

თითქმის უკვე ორმოცდაათი წელია, რაც სახელმწიფო პოლიტიკური გამომცემლობა უშვებს ლენინის ნაწარმოებებს, ლიტერატურას ვ. ი. ლენინზე; გამომცემლობის კოლექტივი ყოველთვის თვლიდა ამას თავის უპირველეს ამოცანად. იგი განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდება ამ ამოცანის შესრულებას ახლა, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის წინადღეს. მას სურს უჩვენოს ვ. ი. ლენინი, როგორც გენიალური თეორეტიკოსი, როგორც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი, როგორც საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ბრძენი ბელადი. ახლადგამოცემული წიგნები მოუთხრობენ მკითხველებს ლენინური იდეების ფართოდ გავრცელების შესახებ, სკკპ ღვაწლის შესახებ, ყოველივე იმაზე, რაც მან შესძინა რევოლუციური თეორიის საგანძურს.

ამ დიდი თარიღისათვის სახელმწიფო პოლიტიკური გამომცემლობა გამოსცემს 140-ზე მეტ ნაწარმოებს. აქ იქნება ვ. ი. ლენინის ნაწარმოებები, თემატიკური კრებულები, მოგონებები ლენინზე, მონოგრაფიები, მასობრივი გამოცემები; მთელი ეს ლიტერატურა იუბილემდე ორი-სამი თვით ადრე დაეგზავნება ჩვენი ქვეყნის ყველა დაშორებულ რაიონებსაც კი. ამჟამად უკვე გამოცემულია ოცზე მეტი დასახელების საიუბილეო წიგნი.

თავისთავად ცხადია, ეს ლიტერატურა უნდა გამოირჩეოდეს შინაარსის სიღრმით და თავისი საზეიმო, ლამაზი გაფორმებით. ავიღოთ, მაგალითად, ლენინური თემატიკური კრებულები. მათი წინანდელი გამოცემების სამეცნიერო-საცნობარო აპარატი არასაკმარისი იყო, გაფორმება — ერთფეროვანი; ახლა კი ეს კრებულები უზრუნველყოფილი იქნება ლაკონური, შინაარსიანი წინასიტყვაობებით და სრულფასოვანი სამეცნიერო აპარატით — საგნობრივი და სახელობითი მაჩვენებლებით და კრებულის თემის შესაბამისი შენიშვნებით.

მეტად საინტერესო იქნება ვ. ი. ლენინზე მოგონებების ხუთტომეული. აქ შევა ნათესავებისა და ახლობლების, თანამებრძოლების, საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის აქტიური მონაწილეების, ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეების მოგონებები. უკვე გამოცემულია მასობრივი ტირაჟით მაქსიმ გორკის, ვიაჩესლავ კარპინსკის, კლარა ცეტკინის მოგონებები. ისინი გამოცემულია მოხერხებული ჯიბის ფორმატით, ჩასმულია მაგარ ყდაში და ლამაზად არის გაფორმებული.

გამომცემლობა იღებს უამრავ წერილს, რომლებშიც მკითხველები თხოულობენ ამ გამოცემების ტირაჟის გადიდებას. მოგონებათა ხუთტომეულის ტირაჟი, რომლის გამოცემა გეგმით 75 ათასი უნდა ყოფილიყო, ახლა, ხელმოწერის შედეგების შესაბამისად, 200 ათას გადააჭარბებს. ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებული გამოდიოდა 200 ათას ეგზემპლარად. ახლა დამატებით გამოიცემა კიდევ 110 ათასი ცალი.

მკითხველმა უკვე მიიღო ახალი გამოცემები, რომლებიც ბელადის თითო შრომას შეიცავენ. აქ არის „რა ვაკეთოთ?“, „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“, „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ და ა. შ. ყდებზე ვ. ი. ლენინის ფოტოსურათებია, რომლებიც იმ დროს არის გადაღებული, როცა ილიჩი ამ წიგნებს წერდა. ყოველი ფოტოგრაფიის ქვეშ ლენინის ოქროსფერი ავტოგრაფია.

სახელმწიფო პოლიტიკური გამომცემლობის წიგნების საერთო ტირაჟი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის 12 მილიონ ეგზემპლარს გადააჭარბებს.

* * *

საქართველოს სსრ გამომცემლობებმა ფართო გეგმები დასახეს, რათა ღირსეულად შეხვდნენ დიად თარიღს — ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

აქ ჩვენ მოგითხრობთ მხოლოდ ერთ კრებულზე, რომელსაც გამომცემლობა „მერანი“ ამზადებს. ეს კრებული დიდად გაამდიდრებს ქართულ ლენინიანას; კრებულის მიზანია გვიჩვენოს ლენინის იდეების გამარჯვება საქართველოში, ამ იდეების განხორციელება კომუნიზმის მშენებლობის ყველა უბანზე.

კრებულში გამოქვეყნდება სხვადასხვა ჟანრისა და სახის მასალები. კერძოდ, აქ წარმოდგენილი იქნება ფოლკლორი, საუკუნის დასაწყისის რევოლუციური პოეზია, თანამედროვე პოეზია და მხატვრული პროზა, მოგონებები, პუბლიცისტური ეტიუდები და ნარკვევები, აგრეთვე მასალები სახვითი ხელოვნების სფეროდან: სურათების და ქანდაკებების, ძეგლებისა და არქიტექტურული ნაგებობების რეპროდუქციები; მუსიკალურ ნაწარმოებთა ნოტები, თეატრალური დადგმების ცალკეული სცენების სურათები, კადრები მხატვრული და დოკუმენტური ფილმებიდან.

ამ წიგნმა უნდა მოგვცეს ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების განვითარების ნათელი სურათი მე-19 საუკუნის დასასრულიდან ჩვენს დღეებამდე. აქ ნაჩვენები იქნება საქართველოს მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობისა და მოწინავე ინტელიგენციის განუზომელი სიყვარული დიდი ლენინისადმი, აქ ასახული იქნება გამოჩენილი ქართველი რევოლუციონერების შეხვედრები, მიმოწერა, პირადი ნაცნობობა ლენინთან.

წიგნში ფართო გამოხატულებას პოვებს ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენციის, ჩვენი ჟურნალისტების და პუბლიცისტების შთაგონებული შრომა ლენინიზმის იდეების განსამტკიცებლად.

ეს ღირსშესანიშნავი კრებული გამოვა საიუბილეო დღეებისათვის.



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

მე შენ გიტოვებ უზარმაზარ შესანიშნავ მემკვიდრეობას, რომელზე უკეთესიც ქვეყანაზე არა არის რა. მე შენ გიტოვებ რევოლუციონერის შეუბღალავ ღირსებასა და სახელს.

ი. მ. ს ვ ე რ დ ლ ო ვ ი ს ანდერძი შვილისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისი. ელმავალმშენებელი ქარხნის კომკავშირელები.

ორმოცდაათი წელი სიჭაბუკისა, ორმოცდაათი წელი გმირული ბრძოლისა და თავდადებული შრომისა, განსაცვიფრებელი შემართებისა და ბრწყინვალე გამარჯვებებისა, ორმოცდაათი წელი კომუნისტური პარტიისადმი ულრმესი ერთგულებისა და კაცობრიობის სანუკვარი მომავლის გრანდიოზული მშენებლობისა, ორმოცდაათი წელი ხიხალისის, შეუპოვრობის, ვაჟკაცობისა და აღმაფრენისა — ასეთია ლენინური კომკავშირის სახელოვანი გზა; ესაა გზა გმირული ბრძოლისა და შემოქმედებითი შრომისა კომუნიზმის ასაშენებლად.

მამების შემცვლელად შვილები მოდიან. ასეთია ცხოვრების კანონი. შვილები — ჩვენი მომავალია, ხალხის მომავალი, რევოლუციის მომავალი, კომუნისტური იდეალების მომავალი საყოველთაო გამარჯვება. „ჩვენ, კომუნისტებს, გვახარებს ხაბჭოთა ჭაბუკებისა და ქალიშვილების იდეური ხიმტკიცე, ოპტიმიზმი და დაუშრეტელი ენერგია ახალი ცხოვრების მშენებლობის ყველა უბანზე. ჩვენ ამაში ვხედავთ იმის მტკიცე საწინდარს, რომ თქვენი მამებისა და უფროსი ძმების მიერ ძლევამოსილად დაწყებული საქმე გაგრძელებული და დამთავრებული იქნება დიადი რევოლუციის ახალი თაობების მიერ“, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში ლენინური კომკავშირის XV ყრილობისადმი.

# ყველაზე უკეთესის მემკვიდრენი



ნაზიბროლა ხასაია ჩაის საკრეფ მანქანასთან

თითქმის ყოველ ათწლეულს ცხოვრების ფართო სარბიელზე ახალი თაობა გამოჰყავს. ამიტომ ვამბობთ ხოლმე: ოციანი წლების თაობა, ოცდაათიანი წლების თაობა, ორმოციანი, ორმოცდაათიანი, სამოციანი წლების თაობები... და, ჩვეულებისამებრ, ყოველ ახალ თაობაში ვხედავთ ახალ ჭაბუკურ ძალებს, რომლებსაც უნარი შესწევთ ღირსეულად ატარონ დიდი ლენინის დროშა, იყვნენ მუდამ მოწინავენი, განუხრელად იარონ იმ გზით, რომელსაც პარტია სახავს ჩვენი ახალგაზრდობის, მთელი ჩვენი ხალხის წინაშე.

და ყველა ამ თაობას ერთი დიდი მიზანი ამოქ-

მედებს, ამიტომ ჩვენ უფლება გვაქვს ჩვენს თანამედროვეებად ჩავთვალოთ ზამთრის სასახლეზე შტურმით წასული ახალგაზრდა გმირებიც, ისე, როგორც ყამირების ასათვისებლად გამგზავრებული ახალგაზრდა ენთუზიასტები.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ სიჭაბუკე მოუტანა ჩვენს პლანეტას. ოქტომბრის თაობას, ოციანი წლების კომკავშირელებს, მამებთან და უფროს ძმებთან ერთად, იარაღით ხელში მოუხდათ რევოლუციის დაცვა, დანგრეული და გაპარტახებული ქვეყნის აღდგენა, შიმშილის, სიცივის, ეპიდემიების დაძლევა, კულაკებთან შეურიგებელი ბრძოლა.



სკრა. მებაღეობის საცდელი სადგურის ლაბორატორიაში.



თბილისი. სტუდენტი კომკავშირელები უნივერსიტეტის ახალი კორპუსის მშენებლობაზე.

ფოტო მ. კვირიკაშვილისა.

და თუ ოქტომბრის მონაწილეებს ნახული ჰქონდათ და ჯერ ისევ ახსოვდათ ძველი სამყარო, ოცდაათიანი წლების ახალგაზრდები უკვე მთლიანად ჩამოყალიბდნენ და აღიზარდნენ ახალი სამყაროს პირობებში. ამ დროის კომკავშირელები გმირულად იბრძოდნენ პირველი ხუთწლედის გეგმების შესასრულებლად, უწიგნურობისა და ცრუმორწმუნეობის დასაძლევად. თხუთმეტ-თექვსმეტი წლის მასწავლებლები დაუღალავად, მთელი გატაცებით მუშაობდნენ და მათ თმაშევერცხლილ მოწაფეებს ოკრო-ბოკრო ასოებით გულმოდგინედ გამოჰყავდათ ირიბად დახაზულ ფურცლებზე: „ჩვენ მონები არა ვართ, მონები არა ვართ...“ ამ დროს იბადებოდნენ პირველი კოლმეურნეობებიც, შენდებოდა პირველი საბჭოური ქარხნებიც, ფაბრიკებიც... და კომკავშირელები ყველგან მოწინავეთა რიგებში იყვნენ. სამხედრო ცნებამ — „მობილიზაცია“ იოლად გადაინაცვლა ადგილი მშვიდობიან ცხოვრებაში. იგი ახალი თაობის მიერ მიღებულ იქნა, როგორც ღირსების სიმბოლო, როგორც ცხოვრების ბუნებრივი ბერკეტი. ვინ იცის, რამდენი იყო ასეთი მობილიზაცია! წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის, კოლექტივიზაციისათვის, მშენებლობებისათვის. დიდმა ოქტომბერმა თანდათან, მაგრამ ისტორიისათვის მეტად მოკლე ვადაში შეძლო ადამიანების შეგნების გარდაქმნა, ახალი ადამიანური თვისებების, ახალი ხასიათების წარმოშობა და გამოწრთობა.

ოცდაათიანი და ორმოციანი წლების თაობებს ისტორიამ უდიდესი მისია დააკისრა — მათ უნდა ებრძოლათ მთელი კაცობრიობის გადასარჩენად: ჩამოვთვლით ბრძოლებს მარტო ოცდათექვსმეტსა და ორმოცდახუთ წლებს შორის: ესპანეთი (მოხალისეები), ხასანის ტბა, ხალხინ-გოლი, განმათავისუფლებელი ლაშქრობები (დასავლეთ უკრაინა, დასავლეთ ბელორუსია, ბალტიისპირეთის რესპუბლიკები), ომი თეთრფინელებთან, დიდი სამამულო ომი; და ყველგან, ყველა ფრონტზე კომკავშირელები პირნათლად ასრულებდნენ პარტიის ყოველ დავალებას, მამებთან და უფროს დებთან და ძმებთან ერთად გზას უკაფავდნენ ახალ, თავისუფალ სამყაროს, იცავდნენ მას გააფთრებული მტრების თავდასხმებისაგან.

სამამულო ომი უდიდესი გამოცდა იყო არა მარტო მთელი ჩვენი ხალხისა, არამედ ლენინური კომკავშირისაც. ეს გამოცდა მან ბრწყინვალედ ჩააბარა. ასეულ ათასობით კომკავშირელი — ჭაბუკი და ქალიშვილი — იბრძოდა ფრონტზე, ასეულ ათასობით კომკავშირელი დღესა და ღამეს ასწორებდა მძიმე შრომაში. მათ მსოფლიოს დაანახვეს საბჭოთა ახალგაზრდობის ზღაპრული მამაცობა, უდიდესი პატრიოტიზმი, ქედუხრელობა და გამარჯვების ურყევი რწმენა, ათასობით და ათიათასობით კომკავშირელი შეეწირა მაშინ ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალიო მირცხულავა

## ლენინურ კომკავშირს

როგორ ვიზარდეთ! ნაღმის ნათელით
ძლივს მიიკვლევდა გზას ათიოდე...
მტერს მიჰკიოდნენ სამგზის გათელილს
და, შეტევაზე გადადიოდნენ!

მუდამ მებრძოლი და მოწინავე
გულდაგულ რას არ გამკლავებია,
თვალნი მრავალნი, ძირს რომ ბრწყინავენ,
ცას მოწყვეტილი ვარსკვლავებია!

ბრძოლის დღეები ისევ წინ არი,
მტერს რომ აწვება გულის დარდებად,
გმირთა ლაშქარი დაუძინარი
ისევ ქარიშხლად ამოვარდება!

ისევ ჰქუხს ჩემი ლექსის ნაღარა,
ვით უწინ, ახლაც მხნე და გმირული,
თუმც გამერია თმებში ჭაღარა,
გული მაინც მაქვს კომკავშირული!

1988 წ.



ახალგაზრდა ტურისტები რიწას ტბაზე.

სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, ათასობით და ათიათასობით კომკავშირელმა ახახელა სამშობლო.

ჩვენი ახალგაზრდობის ყველა გამარჯვების შთამაგონებელი — ლენინის პარტიაა. ეს მან აღზარდა და გმირული სული ჩაუდგა სამარადისოდ დაუვიწყარ ზოია კოსმოდემიანსკაიას და ოლეგ კოშევოის, წარბშეუხრელად, მკერდით რომ შეეტაკნენ ბნელეთის ურდოებს; ეს მან აღზარდა გრიგოლ ხუხულუხია და ზოია რუხაძე, და ათასობით, ათიათასობით მათი ტოლები, რომელთა სახელები ლეგენდებად იქცა და რომელნიც მუდამ უკვდავნი იქნებიან ჩვენს ხსოვნაში.

ორმოციანი წლები ორმოცდაათიანმა წლებმა შეცვალა და, აი, სამოქმედო ასპარეზზე გამოდის ახალი, შემდგომი თაობა. საჭირო იყო დანგრეული ქალაქებისა და ნახანძრალი სოფლების აღდგენა. ამ პერიოდის საგმირო საქმეებზე ჯერ კიდევ ცოტაა ნათქვამი და დაწერილი. სინამდვილეში ეს იყო დიდი ისტორიული ღვაწლი მთელი ხალხისა, მისი შესანიშნავი ახალგაზრდობისა.

კომუნიზმის გრანდიოზულ მშენებლობათა დაწყება, ყამირების ათვისება, ატომის ენერგიის დამორჩილება და მშვიდობიან სამსახურში მისი ჩაყენება, ტექნიკის, მეცნიერების, მეურნეობის თითქმის ყველა დარგის განსაცვიფრებელი განვითარება და ბოლოს კოსმოსურ უსაზღვროებაში გაჭრა — აი ორმოცდაათიანი და სამოციანი წლების თაობების დამსახურება და ღვაწლი. აქაც ახალგაზრდობა ღირსეულად უდგას მხარში უფროს თაობას.

ორმოცდაათი წელი ლენინური კომკავშირისა — ეს არის ახალი ერისა და ახალი საზოგადოების ხუთი თაობის ბრძოლისა და შრომის ისტორია, ხუთი ორდენი მის დროშაზე კი — თვითეული ამ თაობის გმირობისა და წარმატების საყოველთაოდ აღიარებაა.

ლენინური კომკავშირი არის ისეთი ახალგაზრდული ორგანიზაცია, რომელსაც ბადალი არა ჰყავს მსოფლიოში, იგი ზრდის კომუნიზმის მშენებლებს, მაღალი მორალის ადამიანებს.

ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრება გარემოსილია პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი ზრუნვითა და ყურადღებით. ახალგაზრდა ადამიანის ტალანტის გაშლისა და გაფურჩქვნისათვის ჩვენში გახსნილია ყველა გზა.

და ახალგაზრდა ადამიანსაც დიდი როლი აქვს დათმობილი ყველგან — ფაბრიკა-ქარხნებში თუ საკოლმეურნეო მინდვრებზე, უმაღლეს სასწავლებლებსა თუ სამეცნიერო ლაბორატორიებში. საბჭოთა ახალგაზრდობისა და პიონერების განკარგულებაშია 200-მდე გაზეთი და ჟურნალი, რომელთა ტირაჟი წელიწადში 4 მილიარდ ეგზემპლარს აღემატება, მათ განკარგულებაშია სამი დიდი გამომცემლობა. მსოფლიოში დაბეჭდილ ყოველ მესამე წიგნს სცემს საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა „ახალგაზრდა გვარდია“.

30 წლამდე ასაკის ახალგაზრდა შეადგენს მეურნეობის ყველა დარგში ჩაბმულ მუშა-მოსამსახურეთა 40 პროცენტს. ეს, უპირველესად ყოვლისა, ეხება ეკონომიკის თანამედროვე დარგებს და იმ პროფესიებს, რომლებიც მოითხოვენ სერიოზულ ტექნიკურ მომზადებას. ასე, მაგალითად, ყოველ 1000 ხარატიდან 700 ახალგაზრდა მუშაა, დამმონტაჟებელთაგან — 650, ქიმიკოსებიდან — 600. ყოველ 1.000 ინჟინერ-ტექნიკოსიდან 430 ახალგაზრდაა. მეცნიერ მუშაკებსა და სამეცნიერო მოსამსახურეთა შორისაც 45 პროცენტი ახალგაზრდებია.

ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს დღეებში ლენინური კომკავშირი თვალს ავლებს მთელ თავის ისტორიას, ახდენს თავისი რიგების დათვალიერებას. მას შეუძლია ამაყად განაცხადოს:

— პარტიას შეუძლია მტკიცედ დაეყრდნოს თავის საიმედო ცვლას!



პროფ. პეტრე მელიქიშვილი.

# პეტრე მელიქიშვილი — პირველი რექტორის სეფე-სიტყვა



აკად. ივანე ჯავახიშვილი.

ივანე ჯავახიშვილის მეწინავეობით პატრიოტ-მეცნიერთა მცირე გუნდმა ყველაფერი იღონა, რომ ახალი ტიპის პირველი ეროვნული უმაღლესი სკოლა 1918 წლის იანვარში გახსნილიყო.

1918 წლის 18 იანვარს შედგა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს პირველი ოფიციალური სხდომა. ივანე ჯავახიშვილი დაჟინებით მოითხოვს, რომ რექტორად არჩეულ იქნეს არა თვითონ, არამედ პროფესორი პეტრე მელიქიშვილი — სახელოვანი ქიმიკოს-მკვლევარი, რომლის მეცნიერულ პრესტიჟს ევროპაშიც უწევდნენ ანგარიშს.

მართლაც, მეცნიერის დიდი ავტორიტეტი, მრავალ სახელგანთქმულ უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევანი, უკვე სახელმოხვეჭილი მოწაფეების ყოლა — ყოველმხრივ ამართლებდა ნოვოროსიის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორის პეტრე მელიქიშვილის კანდიდატურას ახლად დაარსებული უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე. ამას კიდევ უფრო აძლიერებდა პეტრე მელიქიშვილის მაღალი მორალური თვისებანი და აბსოლუტური უანგარობა (აქვე შევნიშნავთ, რომ რექტორობის თანამდებობას პ. მელიქიშვილი ასრულებდა ყოველგვარი ხელფასის გარეშე). ივანე ჯავახიშვილის წინადადება პროფესორთა საბჭომ ერთხმად მიიღო და 1918 წლის 18 იანვარს ერთხმად აირჩია პეტრე მელიქიშვილი უნივერსიტეტის რექტორად. მხცოვანი მეცნიერი ახალგაზრდული ენერგიით შეუდგა პირველი რექტორის მძიმე და საპატიო მოვალეობის აღსრულებას.

1918 წლის 26 იანვარს (ძვ. სტილით), დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღეს ხალხის ნამდვილი ზეიმით გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი. დამსწრენი მქუხარე ტაშით ხვდებიან პეტრე მელიქიშვილის გამოჩენას.

პირველი რექტორის სეფე-სიტყვა საერთო სიხარულის გამოხატულებაა და ახალფეხადგმული უნივერსიტეტის მოღვაწეობის პროგრამაც.

პეტრე მელიქიშვილი ლაპარაკობდა ქართულად და რუსულად. იგი სიტყვას ზეპირად წარმოსთქვამდა. მისი სიტყვის წერილობით ტექსტს, რომელიც შედარებით მოკლეა ზეპირად წარმოთქმულ სიტყვასთან, ჩვენ მივაგენით საქართველოს სსრ სახელმწიფო ცენტრალურ არქივში (იხ. სცს არქივი (თბილისი) ფ. 47, ან საქმე 564, 8-8) და მას პირველად ვაქვეყნებთ.

„თქვენო უწმინდესობავ და ბატონებო!

საზოგადო სამეცნიერო კვლევა-ძიების გარდა ჩვენი უნივერსიტეტის მთავარს მიზანს ჩვენი ქვეყნის მეცნიერული შესწავლა შეადგენს.

ვინ არ იცის, რა ძვირფასი განძია შემონახული მეცნიერებისათვის კავკასიის მრავალგვარს ენებში და ქართულს მრავალსაუკუნოვან სამწერლობო ენასა და კილოებში; ამიტომაც არის, რომ უკვე კარგა ხანია, რაც ევროპელ მეცნიერთა გულისყური ამ საგნისკენ იყო მიპყრობილი. მხოლოდ ჩვენი ენების სრული თავისებურებით აიხსნება, რომ მათ ენათმეცნიერების ამ დარგის სიძნელე ჯეროვნად ვერ სძლიეს (აქ პეტრე მელიქიშვილმა ერთი წიაღსვლა გააკეთა: მან მოიგონა თავისი გერმანიაში ყოფნა და იქ ლინგვისტ შუხარდტთან შეხვედრა, რომელსაც ღიმილით და გაკვირვებით უთქვამს — რატომ ქართველი ქიმიას სწავლობ და არ იკვლევ მდიდარი ქართული ენის ბუნებასო).

ვინ არ იცის რამდენად საგულისხმოა ჩვენი ქვეყნის წარსულიცა და ნივთიერი კულტურაც, რომელთა მრავალრიცხოვანი ძეგლები ჩვენს სამშობლოს ამკობენ და მნახველთა თვალს აკვირვებენ.

არც გასაკვირველია, რომ ჩვენი უნივერსიტეტის არსებობას საფუძველი სწორედ ჰუმანურ მეცნიერებათა დარგის მოწყობით ედება.

მაგრამ მარტო ამ მხრივ როდი არ არის საყურადღებო ჩვენი ტურფა საქართველო. მისი ბუნება მიმზიდველია მეცნიერებისათვის არა მარტო თავისი გარეგანი სილამაზით, არამედ იმ საიდუმლოებით, რომლითაც სავსეა მისი გული. ჩვენში, მაგალითად ბევრი ისეთი მცენარეა შენახული (ეხლაც ცოცხლობს და ხარობს), რომელნიც ევროპაში დიდიხანია გაქრნენ უკვალოდ. მაშასადამე, ჩვენი ქვეყნის ბუნება მეცნიერისათვის ცოცხალი წიგნია, რომელშიაც მრავალსაუკუნოვანი წარსულის ამოკითხვა შეიძლება.

მეტად მდიდარია ჩვენი სამშობლო აგრეთვე სამკურნალო წყლებით, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ განკურნებაში. მაგრამ მომეტებული მათგანი საკმარისად მეცნიერულად შესწავლილი არ არის, არც შემადგენლობის მხრივ, არც მოქმედების მხრივ. აი აქაც რამდენი სამეცნიერო სამუშაო არის ქიმიკოსებისათვის და მკურნალებისათვის.

კიდევ ბევრი რამ ითქმის, მაგრამ ესეც კმარა. ის მხურვალე სიყვარული მეცნიერებისადმი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი, ამ დიად საქმის განხორციელების მონაწილეთაგანი გამსჭვალულია და ის აღტაცება, რომელიც ქართულ საზოგადოებას ეტყობა, იმის თავდებია, რომ ჩვენი უნივერსიტეტი წარმატების გზას დაადგება, რომ იგი დღეგრძელი იქნება და მომავალში აყვავდება. იმედი მაქვს, რომ ამას ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებიც თავიანთი მხნე და ნაყოფიერ მუშაობით ხელს შეუწყობენ და მოემზადებიან მომავალი მუშაობისათვის ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ".

რუსულად წარმოთქმულ სიტყვაში პეტრე მელიქიშვილი აღნიშნავდა მეცნიერების დიდ როლს ქვეყნის განვითარებაში. თავის სიტყვაში მან ასე განსაზღვრა ეროვნული უნივერსიტეტის ამოცანა:

«Мы хотим на том языке, на котором впервые услыхали ласки матери и впервые сами заговорили, услышать научные истины и те гуманитарные принципы, которые лежат в основании настоящей культуры; мы основываем грузинский университет, чтобы дать возможность нашему народу познакомиться и усвоить на родном языке начала научных истин, а также предоставить возможность нашим силам изучить нашу родину — Грузию и Кавказ».

პეტრე მელიქიშვილის რექტორობამ იმთავითვე მაღალი სახელი შეუქმნა ქართულ უნივერსიტეტს; ეს მრავალი ფაქტით დადასტურდა; ასე, მაგალითად, ქართველი ქიმიკოსი, ცნობილი პედაგოგი დ. ჯორჯიკია იგონებს: „ეს იყო ბაქოში, ქართველთა კოლონიაში მოგვივიდა ცნობა, რომ ქართული უნივერსიტეტის პირველ რექტორად არჩეულია პ. მელიქიშვილი. მეორე დღეს, სამსახურში რომ მივედი, ერთმა მასწავლებელმა მკითხა:

— დააარსეთ ქართული უნივერსიტეტი? ვინ არის რექტორი?

მე ვუპასუხე — რექტორად არჩეულია პროფ. პ. მელიქიშვილი.

ამ სახელის გაგონებაზე მან წამოიძახა:

— ნუთუ ცოცხალია ის?

— ცოცხალიც არის და მუშაობს, როგორც ჭაბუკი, — იყო ჩემი პასუხი.

ყველანი მიხვდნენ, სადაც რექტორად არის მელიქიშვილი, იქ საქმეც სერიოზულიაო". არც ამჯერად შემცდარა ივანე ჯავახიშვილი. პეტრე მელიქიშვილის რექტორობამ იმთავითვე მაღალაკადემიური დაწესებულების პატივი და ღირსება მიანიჭა ქართულ უნივერსიტეტს.

პროფ. სერგი ჯორბენაძე



# ქართული კულტურის ტაძარი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი!

საბჭოთა საქართველოს სიამაყე, მისი კულტურისა და მეცნიერების ერთ-ერთი უდიდესი და უმძლავრესი კერა!

ვინ მოსთვლის, რამდენი დიდად განათლებული მეცნიერი, სახელმწიფო მოღვაწე, საუკეთესო სპეციალისტი გამოუზრდია ჩვენს უნივერსიტეტს, მათი რიცხვი ათიათასობით განიზომება.

ვინ იცის, საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს რომელ კუთხეში არ მოღვაწეობენ თბილისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები; ისინი ეწევიან კვლევა-ძიებას, ასწავლიან სხვებს, ეხმარებიან აზიისა და აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოებს მათი ეროვნული კულტურის გაფურჩქვნაში.

არ არსებობს ჩვენი რესპუბლიკის კულტურის, მეცნიერებისა და მეურნეობის არც ერთი დარგი, რომლისთვისაც თბილისის უნივერსიტეტდამთავრებულთ თავისი ამაგი არ დაედოთ.

უნივერსიტეტი არის ჩვენი სოციალისტური აწმყოსა და ნათელი კომუნისტური მომავლის მშენებელთა კადრების ერთ-ერთი უდიდესი სამჭედლო. უნივერსიტეტი არის სული ჩვენი ხალხისა და მაჯისცემა ჩვენი სისხლსავსე ცხოვრებისა.

ორმოცდაათი წელია თავსევლება იგი ქართველ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს. ზრდის და აზიარებს მათ კულტურისა და მეცნიერების მადლსა და სიკეთეს.

და განა მარტო ქართველ ახალგაზრდებს? ვის არ შეხვდებით მის ფართო და ნათელ აუდიტორიებში, რა ეროვნების ახალგაზრდას: რუსს, უკრაინელს, სომეხს, ებრაელს, ბერძენს, თათარს, ბულგარელს, ესტონელს, გერმანელს და ვინ იცის კიდევ ვის!

თუ ოდესღაც ჩვენი უნივერსიტეტი რამდენიმე ასეულ სტუდენტს ითვლიდა, პროფესორ-მასწავლებლები კი თითზე ჩამოსათვლელნი იყვნენ, ახლა მარტო წელს, უნივერსიტეტის 12 ფაკულტეტზე 13 ათასზე მეტ სტუდენტს ასწავლის 1000-მდე მასწავლებელი, დოცენტი და პროფესორი, რომელთაგან დიდი ნაწილი ამ უნივერსიტეტშივე აღზრდილი ახალგაზრდა სწავლულები არიან.

იზრდება თვით უნივერსიტეტიც. ჩვენს დედაქალაქს ამშვენებს მისი უალრესად თანამედროვე ხელსაწყო-დანადგარებით აღჭურვილი ლამაზი, ქათქათა კორპუსები, მათ შორის წელს აგებული ახალი 14-სართულიანი კორპუსი საბურთალოზე.

სურათებზე: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი აკად. ილია ვეკუა (ფოტო № 1); მათემატიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისია (ცენტრში აკად. ნ. მუსხელიშვილი, ფოტო № 2); ლექციების დაწყების წინ (ფოტო № 3); ატომური ფიზიკის სასწავლო ლაბორატორიაში (ფოტო № 4).

ფოტო გ. შეყილაძისა.







# პირველი დღეები უნივერსიტეტში

**ფურცლები ძველი დღიურიდან**

ეროვნული ბიბლიოთეკა



აკად. გიორგი ახვლედიანი.



აკად. კორნელი კეკელიძე.



აკად. ივანე ბერიტაშვილი (მარჯვნივ) და პროფ. ვ. ბრეგვაძე ასპირანტის გამოცდისას.

...უნივერსიტეტში 1929 წელს შევედი. მაშინ იგი ერთადერთი ქართული უმაღლესი სასწავლებელი იყო საქართველოში და თავისი არსებობის მეთერთმეტე წელს ითვლიდა. ამიტომ, ბუნებრივია, ახალგაზრდობა დიდი ინტერესით მიისწრაფოდა მისკენ.

1929 წელი მღელვარე ამბებით აღინიშნა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ხორცს ისხამდა პირველი ხუთწლიანი გეგმა, მკვიდრდებოდა საკოლმეურნეო წყობილება, ახალ რელსებზე გადადიოდა უმაღლესი განათლების სისტემა, ხორციელდებოდა კულტურული რევოლუცია, უწიგნურობის ლიკვიდაცია. და ამ დიდ საქმიანობაში განსაკუთრებით ფართოდ მონაწილეობდა ჩვენი უნივერსიტეტი, მისი მოწინავე პროფესურა და სტუდენტობა.

ჩვიდმეტი წლის სოფლელი ბიჭისათვის უნივერსიტეტი სრულიად ახალ სამყაროს წარმოადგენდა. აქ მეგულებოდნენ ქართული მეცნიერების ქურუმები; პირველად საშუალო სკოლაში გავიგონე სხივმოსილი სახელები: ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, დიმიტრი უზნაძე, შალვა ნუცუბიძე, გრიგოლ წერეთელი, სიმონ ხუნდაძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, მიხეილ ზანდუკელი... მათი პირადად ნახვა და ლექციების მოსმენა სანუკვარი ოცნება იყო ჩემი თაობის ჭაბუკთათვის.

ეს თეთრი სახლი განმარტოებით იდგა ვაკეში. ირგვლივ ხელის გულივით ტიტველი ეზო ერტყა, მისასვლელი ჯერ კიდევ მოუწყობელი ჰქონდა. ღვინის ქარხანასთან წყდებოდა ტრამვაის ხაზი. ახლანდელი ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, მისი შემოგარენი, მთელი ვაკე ხილის კერძო ბაღებს, ვენახებსა და პურის ყანებს ეჭირა.

დაუდეგარი ვარაზის ხევი ხომ მოსვენების შესაძლებლობას არ იძლეოდა: ძირს უჩიჩქნიდა უნივერსიტეტის გორაკს. მაინც საოცრად ავი იყო ეს პატარა მდინარე წვიმიან დღეებში. არღვევდა ხოლმე ვიწრო გადასასვლელს და თავპირის ხეთქვით მიექანებოდა დაბლა, მდ. ვერესაკენ, თან მიჰქონდა ქვა და ღორღი, ხერგავდა და ატალახიანებდა ისედაც მტვრიან წყნეთის ქუჩას.

უნივერსიტეტის ეზოში მაშინ არც ერთი ძირი ხე არ იდგა. ალაყაფის კარებთან ფარღალალა ჯიხური და მის გასწვრივ ახლად ჩარგული შვიდიოდე პაწაწინა ჭადარი მოჩანდა (შემდეგ ეს ჭადრები უზარმაზარ ხეებად იქცნენ!). ჯიხურის ვიწრო სარკმელთან ჩვეულებრივ იდგა ხოლმე ნაბდისქუდიანი და კოხტად ამოსხმული ქალამნებით აღკაზმული მოხუცი მეკარე, რომელიც თავაზიანად ესალმებოდა სტუდენტებს. ბევრჯერ შემივლია თვალი: ამ კეთილ მოხუცს მოკრძალებით მოიკითხავდნენ ხოლმე ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე და უნივერსიტეტის სხვა დამაარსებელნი.

არასოდეს დამავიწყდება პირველი დღეები მშობლიურ უნივერსიტეტში. პირველი ლექცია წაიკითხა პროფესორმა სიმონ ხუნდაძემ. ეს სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ ბრწყინვალე ლექტორი და მეცნიერი, სოციალიზმის ისტორიის კურსს კი-

აკადემიკოსები აკაკი შანიძე და სიმონ ყაუხჩიშვილი.



თხულობდა, თანაც ჩვენი ფაკულტეტის დეკანადაც მუშაობდა. ლექციამ წარუხოცელი შთაბეჭდილება დატოვა. წინა მერხზე ვიჯექი და მისი შინაარსი თითქმის სიტყვა-სიტყვით ჩავიწერე. მეორე ლექცია კორნელი კეკელიძემ წაიკითხა. გუშინდელივით მახსოვს თმაშევერცხლილი პროფესორის გულშიჩამწვდომი სიტყვები. ლექცია ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხებს მიეძღვნა. დამაჯერებელი ტონი, საოცარი გემოვნებით შერჩეული ფაქტები, შორს გამიზნული განზოგადებანი, ღრმად გააზრებული არგუმენტაცია... აქეთ-იქით მიხედვ-მოხედვაც კი ვერ შევძელით, ისე უცებ გაირბინა ას ოცმა წუთმა. პროფესორი წამოდგა, ხელში აიღო პორტფელი და დინჯი ნაბიჯით გავიდა. ჩვენ ფეხზე ადგომით გავაცილეთ იგი. ამ დღეს პირველად ვნახე კორნელი კეკელიძე და მოვუსმინე. მაგრამ მის ორტომიან „ძველი ქართული მწერლობის ისტორიას" ადრე, ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში გავეცანი. კორნელი კეკელიძის იმდღევანდელი ლექცია ისევე შთამბეჭდავი და ფაქტობრივი მასალით მდიდარი იყო, როგორც მთელი მისი ბრწყინვალე ორტომეული.

მეორე დღის ცხრილში პროფესორ ივანე ჯავახიშვილის ლექცია შეიტანეს. სტუდენტები დიდი ინტერესით ველოდით მეცნიერს, რომლის სახელი ყველას ენაზე გვეკერა. ის მაშინ რექტორი აღარ იყო, მაგრამ განუზომლად დიდი სიყვარულით სარგებლობდა. ჩვენთან საქართველოს ისტორიის კურსს კითხულობდა. ფილოლოგებთან ერთად მის ლექციას ისტორიკოსებიც ესწრებოდნენ. აუდიტორია სტუდენტებით გაიჭედა. ყველა წინა რიგებისაკენ მოიწევდა. მე ადრე მივედი და პირველ მერხზე მოვთავსდი. ვიღაცამ დაიძახა, მოდისო და მთელი აგუგუნებული აუდიტორია უცებ დადუმდა. მისი შემოსვლა ღვთის კაცის გამოჩენას ჰგავდა! ნელი ნაბიჯით შემოაღო მაღალი კარი, კათედრასთან მივიდა, აუდიტორიას ღიმილით მიესალმა, დაჯდა, პორტფელიდან რაღაც ჩანაწერები ამოიღო და დარბაისლური ქართულით შეუდგა ლექციის კითხვას. დიდი ყურადღებით ვუსმენდით. ვცდილობდით, ყველაფერი ჩაგვეწერა. დღესაც სათუთად ვინახავ ამ ლექციის სტუდენტურ ჩანაწერებს.

იმავე დღეს პროფესორ აკაკი შანიძესაც მოვუსმინეთ. აუდიტორიაში გრიგალივით შემოიჭრა ოდნავ ქერა, გამხდარი, ორმოციოდე წლის მომღიმარე ლექტორი და ხმამაღლა მოგვესალმა: „გამარჯვებათ, ვაჟებოო!" აკაკი შანიძე ყველამ ვიცანით. პირველად მას მისაღებ გამოცდებზე შევხვდით: ქართული ენის საგამოცდო კომისიას თავმჯდომარეობდა. აკ. შანიძე თანამედროვე ქართული ის მორფოლოგიის კურსს კითხულობდა. ამ ლექციაზე ჩვენ წინაშე მთელი ახალი სამყარო გადაიშალა. ნუ გაგიკვირდებათ: მისი ცნობილი გრამატიკა ქართული ენისა მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გამოცემული, ხოლო სილ. ხუნდაძისა და ი. ნიკოლაიშვილის სახელმძღვანელოებზე აღზრდილთათვის აქ მოწოდებული სიახლე ადვილად დასაძლევი როდი იყო.



პროფ. ვ. ბახტაძე და აკად. შ. ნუცუბიძე.

ორიოდე დღის შემდეგ პროფესორ გიორგი ახვლედიანსაც შევხვდით. მისმა პირველმა ლექციამ ფონეტიკაში მთელი აუდიტორია დაატყვევა. აქ გავიგონეთ ბევრი ისეთი რამ, რაც არასოდეს გაგვეგონა. აქ პირველად გავიგეთ ენობრივი ფაქტის ფასი მეცნიერებისათვის.

პირველ ლექციებს თანაკურსელთა დაახლოება და დამეგობრება მოჰყვა. მანამდის უნივერსიტეტში არავის ვიცნობდი, გარდა თანასოფლელ გრიგოლ ხავთასისა, რომელიც უფროს კურსზე სწავლობდა.

ამიტომ არანაკლებ სამახსოვრო იყო თანაკურსელთა პირველი გაცნობა. აქ იყვნენ საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოსულნი: კახეთიდან — დიმიტრი ბენაშვილი და გიორგი ნატროშვილი, არჩილ ნანობაშვილი და ეკატერინე ბაწაშვილი; ლეჩხუმიდან — მიხეილ ჩიქოვანი; რაჭიდან — ლეონიდე ტურძილაძე; კოლ-

ხეთიდან — აკაკი გაწერელია და მიხეილ ჩხენკელი, შალვა შენგელი და რომანოზ ჯალაღონია, ვლადიმერ სილაგაძე და კაპიტონ შენგელია; ქართლიდან — ქეთო ელბაქიძე და გიგა ზაუტაშვილი; იმერეთიდან — ელენე ჩარკვიანი და ნატაშა კამლაძე, კარლო გოგოძე და სიმონ არველაძე, გრიგოლ ორახელაშვილი და ლიდა მესხი; ბათუმიდან — ნუცა ანანიაშვილი; გურიიდან — ანტონ ხინთიბიძე და ალექსანდრე შანიძე, გრიგოლ ცეცხლაძე და ანეტა აფხაზავა... უმრავლესობა პირველად ვხვდებოდით ერთმანეთს. ზოგიერთ მათგანს, მათ შორის გ. ნატროშვილს, ა. გაწერელიას, დ. ბენაშვილს, მ. ჩიქოვანს, კ. გოგოძეს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" ფურცლებიდან ვიცნობდი, ოღონდ პირადად მხოლოდ დღეს შევხვდი.

ჩვენ მაშინვე დავმეგობრდით. ზოგი მათგანი შემდეგ გახდა ქართული მეცნიერებისა და კულტურის გამოჩენილი მოღვაწე, ზოგიც — სკოლის თანამგზავრი, ზოგი კი უდროოდ გამოაკლდა ჩვენს რიგებს...

ჭეშმარიტად დაუვიწყარი იყო სტუდენტური ცხოვრების პირველი დღეებიც. ახალგაზრდობის სწავლისა და ყოფაცხოვრების ცენტრში კომკავშირის ორგანიზაცია იდგა. მისი კრებები მუდამ ცოცხლად და მიმზიდველად ტარდებოდა. კომკავშირის ორგანიზაციის თაოსნობით ეწყობოდა დისპუტები მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების საკითხებზე, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან. ყოველი ახალი წიგნი, რომელიც კი გამოჩნდებოდა ჩვენს დარგში, საჯაროდ უნდა განხილულიყო. დისპუტებსა და დისკუსიებს ტონს აძლევდა „ახალგაზრდა კომუნისტი", რომლის ფურცლები ფართოდ ეთმობოდა სწორედ ამისთანა საკითხებს.

ჯერ კიდევ პირველი შთაბეჭდილებებით ვცხოვრობდით, რომ უნივერსიტეტს ესტუმრნენ ნიკო მარი, ვლადიმერ მაიაკოვსკი, კოტე მარჯანიშვილი, გალაკტიონ ტაბიძე... მათი ნახვა კი მთელი დღესასწაული იყო ჩვენთვის.

ასეთი იყო ახალბედა სტუდენტის პირველი დღეები მშობლიურ უნივერსიტეტში. ამ დღეების ხსოვნა წარუხოცელია. შემდეგ აქ უფრო დიდი ამბების მოწმე გავხდი, მაგრამ პირველი დღეების შთაბეჭდილებანი მაინც სულ სხვაა, განსაკუთრებით ღრმა და ძვირფასია.

ამის შემდეგ 38 წელიწადი გავიდა. ჩვენი უნივერსიტეტი ახლა ნახევარი საუკუნის ასაკისაა, აყვავდა და გაიფურჩქნა. დღეს აქ ასობით მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერი მოღვაწეობს, ათასობით ახალგაზრდა ეუფლება მეცნიერების მწვერვალებს. თბილისის უნივერსიტეტი ჩვენ თვალწინ გადაიქცა მეცნიერების ერთ-ერთ უდიდეს ცენტრად. მისი სახელი და დიდება საქვეყნოდ ცნობილია. ეს ყველასათვის საამაყოა. განსაკუთრებით სასიხარულოა იმათთვის, ვისაც მეცნიერების ამ დიდ ტაძარში უსწავლია, ან რაიმე საქმე ჰქონია მასთან.

დაე, ეპოქებს ამშვენებდეს მშობლიური ქართული უნივერსიტეტის წმინდა სახელი და წარმატებანი!

პროფესორი ალ. ღლონტი



აკად. ა. ჯავახიშვილი.

# მოგონება უნივერსიტეტზე

**1920 წელი. ჩვენი უნივერსიტეტი ახლად ფეხადგმული იყო. იმ ხანებში მე მიმიწვიეს ასისტენტად ფიზიკის დარგში. არჩევანი მაშინ ხდებოდა კენჭისყრით. თავმჯდომარემ, ივანე ჯავახიშვილმა გააცნო კრებაზე მოწვეულ პროფესორებს ჩემი ვინაობა — ორი უმაღლესი ინსტიტუტი აქვს დამთავრებული, პროფ. რენტგენის ნამოწაფარიაო. კენჭისყრა ასე მოხდა: თავმჯდომარემ წინადადება მისცა დამსწრეებს აელოთ მაგიდაზე დალაგებული მცირე ზომის ქაღალდის ნაჭრები, დაეწერათ ზედ ჯვარი ან მინუსი, და ჩაებარებინათ მისთვის.**

**— ყველას ჯვარი აწერია, — განაცხადა თავმჯდომარემ ღიმილით.**

**დავიწყეთ მუშაობა პროფესორ ალექსანდრე დიდებულიძესთან. შემდგომში შემოგვემატნენ ასისტენტებად არჩეული მიხეილ ნოდია, ვასილ ყიფშიძე და ალექსანდრე მუსხელიშვილი. შევუდექით ლაბორატორიის მოწყობას, ხელსაწყოების შეძენას სხვადასხვა სასწავლებლიდან, ფიზიკის ტერმინოლოგიის დამუშავებას და ლექსიკონის შედგენას ქართულ ენაზე. ასისტენტის მოვალეობას ვასრულებდი სამი წლის მანძილზე, 1920 წლიდან 1923 წლამდე. ამ წელს ამირჩიეს მუშათა ფაკულტეტის ტექნოლოგიის კათედრის გამგედ. აქ ლექციებს კითხულობდნენ ჩვენი გამოჩენილი ადამიანები — კორნელი კეკელიძე, ვასილ ბარნოვი, მხატვარი ალექსანდრე მრევლიშვილი, მათემატიკოსი არჩილ ხარაძე და სხვები.**

**1920 წელს დიდი გაჭირვება იყო, სურსათი არ იშოვებოდა. მეცნიერ-მუშაკებმა გადავწყვიტეთ გაგვეშენებინა ბოსტანი უნივერსიტეტის ფართო ეზოში. პროფესორ ანდრია რაზმაძეს, ალექსანდრე დიდებულიძეს და ამ სტრიქონების დამწერს უნივერსიტეტის კომენდანტმა შაქრო თვალჭრელიძემ მოგვიზომა თითოს 40 კვადრატული მეტრი ფართობი. რაზმაძემ მოითხოვა, რომ კენჭი გვეყარა, ვის რომელი ადგილი შეგვხვდებოდა. ვყარეთ კენჭი და გულმოდგინედ შევუდექით ნიადაგის დაბარვას. ოფლში ვიწურებოდით, არავითარ შრომას არ ვაკლებდით, ვრწყავდით ყოველ საღამოს, მაგრამ არ ვიცი ნიადაგი შეგვხვდა მწირი თუ ჩვენ ვიყავით ძალიან გამოუცდელები, მოხდა ისე, რომ რამდენიც დავთესეთ, ხწორედ იმდენივე მივიღეთ, არც მეტი და არც ნაკლები. ძალიან გვეწყინა ასეთი მოულოდნელი მარცხი. ანდრია რაზმაძე გაკვირვებით დასცქეროდა მიწიდან ამოღებულ ერთ მუჭა ჰირნახულს: „მოსავლის მატების კოეფიციენტი უდრის ერთ მთელსა და ნოლ მეათედს", — განაცხადა განაწყენებულმა მათემატიკოსმა, რომელზედაც აინშტაინი წერდა: „ჩემი ფარდობითობის თეორია რუსეთში პირველმა ანდრია რაზმაძემ გაიგოო".**

**ასე დასრულდა ჩვენი მებოსტნეობის ამბავი.**

ერეკლე ლუკაშვილი

აკად. ნიკო კეცხოველი.



# ასე ჩაეყარა საფუძველი

ახლა, როცა ჩვენი რესპუბლიკა სიხარულით აღნიშნავს დიდ სახალხო ზეიმს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავს, მადლიერების გრძნობით გასახსენებელი ხდება ღვაწლი და საქმიანობა ყველა იმ დაწესებულებისა თუ კერძო პირისა, რომლებმაც ჯერ კიდევ XIX-XX საუკუნეების მიჯნიდან მოკიდებული, უნივერსიტეტის დაარსებამდე დიდი ხნით ადრე, საფუძველი შეუქმნეს და მოუმზადეს ეროვნული უმაღლესი სასწავლებლის შექმნის იდეას საქართველოში.

ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაცია, რომელმაც რევოლუციის წინა პერიოდში ხელი შეუწყო პირველი ქართული უნივერსიტეტის კადრების მომზადებას, იყო პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე. მისი ხელმძღვანელი იყო დიდი ისტორიკოსი და მამულიშვილი ივანე ჯავახიშვილი, შემდეგში თბილისის უნივერსიტეტის ფუძემდებელი.

აღნიშნული წრის კონკრეტული ისტორია იწყება 1903 წლიდან, როცა პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა ქართული ისტორიის შემსწავლელი სექცია. მის ხელმძღვანელად მოწვეულ იქნა ახალგაზრდა ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი, მაშინ უკვე უნივერსიტეტის აღმოსავლური ფაკულტეტის პრივატ-დოცენტი.

თავდაპირველად სექციაში გაერთიანებული იყო ოცამდე კაცი. ივ. ჯავახიშვილი მათ უკითხავდა საქართველოს ისტორიის ზოგად კურსს, ურჩევდა ლიტერატურას და სათანადო კონსულტაციებს უტარებდა საგნის შესასწავლად.

1907 წლისათვის დასახელებული სექცია გაიზარდა. მალე იგი გადაკეთდა ცალკე სამეცნიერო წრედ, რომლის წესდებაც დამტკიცებულ იქნა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს მიერ. წრეში გაერთიანებული იყვნენ პეტერბურგის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები, რომლებიც ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილი თემატიკის მიხედვით საკუთარი სურვილისამებრ ირჩევდნენ სათანადო მეცნიერულ საკითხებს, ამუშავებდნენ მათ და შემდეგ წრეზე გამოჰქონდათ წასაკითხად თუ განსახილველად.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წრის მთელი მუშაობა, მოხსენებების კითხვა-განხილვა, კამათი — ყველაფერი ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. ეს კი ახალგაზრდებს სძენდა სათანადო ჩვევებს, მეცნიერული კამათისა და აზროვნების უნარს ქართულ ენაზე, ყველაფერს, რაც მომავალში მათ უნდა გამოეყენებინათ პრაქტიკული მოღვაწეობის დროს. უკვე ამ ხანებშივე ივ. ჯავახიშვილს სამართლიანად მიაჩნდა, რომ სწორედ პეტერბურგის სტუდენტთა წრე უნდა ქცეულიყო იმ კერად, სადაც მოხდებოდა მომავალი სრულყოფილი მეცნიერული კადრების ფორმირება, შეიქმნებოდა თუ აღორძინდებოდა ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია.

სხვადასხვა დროს პეტერბურგის სტუდენტთა წრის თუ მისი გამგეობის აქტიური წევრები იყვნენ შემდეგი დროის ცნობილი ქართველი მეცნიერ-ხელოვანნი თუ საზოგადო მოღვაწეები: ი. ყიფშიძე, შ. დადიანი, ს. ქორქოლიანი, აკ. შანიძე, დ. კაკაბაძე, ს. ყაუხჩიშვილი, გ. ჩიტაია, ვ. ფუთურიძე. კ. დონდუა, გ. თარხნიშვილი და სხვ.

პეტერბურგის ქართული სათვისტომოს წევრებთან ერთად სტუდენტთა სამეცნიერო წრე ხშირად აწყობდა საღამოებს, მიძღვნილს გამოჩენილი ქართველი მამულიშვილებისადმი. სხდომებზე სისტემატურად იწვევდნენ ცნობილ მეცნიერებსა და კულტურის მოღვაწეებს, სთხოვდნენ მათთვის საინტერესო თემებზე ლექციების წაკითხვას.

პეტერბურგის სტუდენტთა წრემ წერილობითი კონტაქტი დაამყარა რუსეთისა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში მოღვაწე ქართველ მეცნიერებსა თუ სტუდენტებთან და მოახდინა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მათი „კადრების ფურცლის“ შევსება-დაზუსტება და ხელი შეუწყო მათი მუშაობის კოორდინირებას საერთო ეროვნულ საზოგადოებრივი თუ მეცნიერული საკითხების გადასაჭრელად.

სტუდენტთა სამეცნიერო წრემ თვალსაჩინო კვალიც დააჩნია რევოლუციამდელი ქართველოლოგიის საკვლევაძიებო წარმატებასაც.

ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით და პირადი მონაწილეობით პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრემ ხანგრძლივი მუყაითი შრომის შედეგად შეადგინა ქართველოლოგიური ბიბლიოგრაფია, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილიც გამოცემულ იქნა 1916 წელს. თავის დროს ეს საცნობარო ხასიათის კოლექტიური ნაშრომი დიდად უწყობდა ხელს მასალათა სისტემატური ძიების საქმეს ქართველოლოგიურ მეცნიერებათა თითქმის ყველა დარგში.

ქართველ სტუდენტთა წრის სამეცნიერო ზრდისა თუ მოწიფულობის უდავო მოწმობა იყო ის ფაქტი, რომ ახლო დროში შესაძლებელი შეიქმნა შერჩეულიყო წრის წევრთა საუკეთესო მოხსენებები, და 1915 წელს ცალკე წიგნადაც გამოსულიყო კრებულის სახით. ამ კრებულში დაიბეჭდა შემდეგი გამოკვლევები: შ. დადიანი — „ქართველი ქალები ისტორიული წყაროებისა და „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით“; ი. ანთაძე — „ყმათა მფლობელობის ხასიათი საქართველოში“; დ. კაკაბაძე — „ქართული ხატების მოქედილობის სახეები“; გ. თარხნიშვილი — „სასამართლოს წარმოება საქართველოში“; ი. ანთაძე — „წყლის მფლობელობა და სარწყავი წყალი საქართველოში“; გ. ჭუბაბრია — „მოქალაქეორივი ჰანგები ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებებში“; აკ შანიძე — „ქართული კილოები მთაში“...

დასახელებულ კრებულს ერთვოდა ივ. ჯავახიშვილის წინასიტყვაობა, სადაც დიდი მეცნიერი იშვიათი გულისხმიერებითა და კოლეგიალური ტონით ახასიათებდა კრებულში მოთავსებული ნაშრომების თემატიკის ღირსებას, ავტორთა უნარს თუ გამოცდილებას საკვლევი საკითხების დამუშავებაში.

სიხარულისა თუ იმედის მომგვრელი იყო წრის წარმატებები, რაზედაც საგანგებოდ ჩერდებოდა ივ. ჯავახიშვილი. „გული სიხარულით მევსება, როდესაც ვრწმუნდები, რომ ქართული სამეცნიერო წრის მუშაობამ არამც თუ ამაოდ არ ჩაიარა, არამედ თავისი ნაყოფიც გამოიღო და იმედი მაქვს, რომ ამ პირველი კრებულის თანამშრომელთა უმეტესი ნაწილი, თუ ყველანი არა, მომავალშიაც სამეცნიერო მუშაობას თავს არ დაანებებს და შეძლებისდაგვარად ქართული სამეცნიერო მწერლობის გამდიდრებას ხელს შეუწყობს“.

ზუსტი და წინასწარმეტყველური აღმოჩნდა დიდი ივანეს სიტყვები. დიდი ხანი არ იყო გასული მას შემდეგ, და აი, 1918 წელს სწორედ ივ. ჯავახიშვილისა და მის თანამებრძოლ-მოწაფეთა მიერ დაარსებულ იქნა თბილისის უნივერსიტეტი, ეროვნული უმაღლესი სასწავლებელი, რომლის პირველმაშენებელთა დასში, სხვებთან ერთად, აქტიურად გამოიჩინეს თავი პეტერბურგის სტუდენტთა სამეცნიერო წრეში ნამუშაკევმა მოღვაწეებმაც.

სწორედ ამ წრეში მიიღეს თავისი პირველნათლობა, როგორც უკვე ვამბობდით კიდეც, ჩვენი უნივერსიტეტისა და მეცნიერების წინაშე პირნათელ სამსახურში გამობრძმედილმა ადამიანებმა, რომელთა ნაწილი ახლაც ენერგიულად იღწვის ჩვენი მეცნიერების ფარვატერში.

ჩაუქრობელი იყოს ცეცხლი იგი, რომელიც ანთია ქართული მეცნიერების კვარცხლბეკზე!

დოც. შოთა ბადრიძე,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

# ფიზიკოსიც, მხატვარიც...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი ერის მეცნიერებისა და კულტურის მშობლიური კერა, თბილისის უნივერსიტეტი თავისი არსებობის სახელოვან 50 წლისთავს კიდევ ერთი მიღწევით აღნიშნავს. 1965 წელს ჩამოყალიბდა ხელოვნების ფაკულტეტი, რომელიც ამჟამად მნიშვნელოვან მეცნიერულ-მხატვრულ ორგანიზმად გადაიქცა.

ხელოვნების ფაკულტეტზე სამი განხრაა: მუსიკალური (მუსიკათმცოდნეობა, ფორტეპიანო, ვოკალური, ხელმძღვანელი დოც. თ. ჩიჩუა), კინო-ტელევიზიის (კინო-ტელევიზიის დრამატურგია) და სახვითი ხელოვნების (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება; ხელმძღვანელი დოც. ო. ფირალიშვილი).

გაუგებარი იქნებოდა ხელოვნების ფაკულტეტის არსებობა თბილისის უნივერსიტეტში, თუ არ ავხსნიდით იმ სპეციფიურ მხარეებს, რაც ამ ფაკულტეტს ანსხვავებს რესპუბლიკის სხვა, უმაღლეს შემოქმედებით სასწავლებლებისაგან. ასე მაგალითად, შეიძლება დაგვებადოს კითხვა — რა საჭიროა უნივერსიტეტში ხელოვნების ფაკულტეტი, როდესაც თბილისში არსებობს კონსერვატორია, სამხატვრო აკადემია, თეატრალური ინსტიტუტი?

სკკპ XXII ყრილობაზე მიღებულმა პარტიის ახალმა პროგრამამ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში იდეოლოგიური მუშაობის ძირითად ამოცანად „ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის“ აღზრდა დასახა. სწორედ ამ ისტორიული გადაწყვეტილების კონკრეტული ამოცანების განხორციელება აქვს მიზნად უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტს. როგორც წესი, ხელოვნების ფაკულტეტზე სწავლობენ უნივერსიტეტის ან სხვა უმაღლესი სასწავლებლის მხოლოდ ის სტუდენტები, რომელთაც, მეცნიერების გარდა, ხელოვნების რომელიმე დარგში განსაკუთრებული ნიჭი და მიდრეკილება გამოავლინეს. ამდენად ხელოვნების ფაკულტეტი არ წარმოადგენს სამხატვრო აკადემიის, კონსერვატორიის ან თეატრალური ინსტიტუტის დუბლირებას. აქ სტუდენტები, ერთსა და იმავე დროს, ეუფლებიან როგორც მეცნიერების, ისე ხელოვნების რომელიმე დარგსაც, ეძებენ მათ შორის ზოგადს და საერთოს, არკვევენ მათ კავშირს, ერთი სიტყვით, ცნობიერების ორ უმაღლეს სფეროს აახლოებენ და მათი შემოქმედებითი შერწყმის ექსპერიმენტებს აწარმოებენ.

ჩვენი ღრმა რწმენით, მაგალითად, მუსიკალური აკუსტიკის პრობლემების გარკვევისას უკეთეს შედეგებს მიაღწევს ის, ვინც ერთ და იმავე დროს ფიზიკას და მუსიკას სწავლობს. კინოსა და ტელევიზიისათვის კი სამეცნიერო-პოპულარულ სცენარს ის დაწერს, ვინც კინოდრამატურგის ოსტატობის დაუფლებასთან ერთად კარგად შეისწავლის მეცნიერების დარგს, რომლის სფეროდანაცაა აღებული ფილმის სიუჟეტი და ა. შ. ბევრ შემთხვევაში ახალგაზრდა მრავალმხრივ უნარს ავლენს, აქვს მათემატიკის ნიჭი, ამავე დროს, კარგი ვოკალური მონაცემები. ასეთ ახალგაზრდას შეუძლია შევიდეს მათემატიკის ფაკულტეტზე, და იმავე დროს, ხელოვნების ფაკულტეტზე განავითაროს თავისი ვოკალური მონაცემები. ეს მხოლოდ მაგალითისათვის; მუსიკის, კინო-ტელევიზიის და სახვითი ხელოვნების განყოფილებებზე სწავლობენ უნივერსიტეტის ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ფილოლოგიური, იურიდიული და სხვა ფაკულტეტის სტუდენტები ხელოვნებაში ყველა თავისი ნიჭის და უნარის მიხედვით.

ხსენებულმა ფაკულტეტმა სამი წლის მანძილზე დიდ წარმატებებს მიაღწია, სტუდენტთა უმრავლესობამ უკვე გამოავლინა თავისი ინდივიდუალური სახე როგორც სახვითი, ისე მუსიკალური ხელოვნების სფეროებში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უნივერსიტეტში კინო-ტელევიზიის განყოფილების შექმნას. ჩვენი საუკუნე კინო და ტელევიზიის საუკუნეა და თანამედროვეობა მას უდიდეს შემოქმედებით ამოცანებს უსახავს. ქართულ კინო-ტელეხელოვნებას მაღალკვალიფიციური შემოქმედებითი კადრები ესაჭიროება და, ბუნებრივია, რომ მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტის თითო-ოროლა კურსდამთავრებულს ჩვენი კინო-ტელევიზიის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება აღარ შეუძლია. ამიტომაც ხელოვნების ფაკულტეტზე კინო-ტელევიზიის განყოფილების შექმნას დიდი პერსპექტივები აქვს. ეს არის ჩვენს რესპუბლიკაში პირველი უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც ეროვნულ კინო-ტელევიზიას საჭირო კადრებს მოუმზადებს. აქ სტუდენტები კინო-ტელევიზიის თითქმის ყველა მეცნიერულ დისციპლინას გადიან. სასწავლო წლის დამთავრებასთან დაკავშირებით კვალიფიციურმა კომისიამ შეისწავლა მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებისათვის სტუდენტთა მიერ პრაქტიკულ სემინარებში შექმნილი სცენარები, აღნიშნა მათი მაღალი მხატვრულ-იდეური დონე. მათ ნამუშევრებს ახასიათებს მისწრაფება ეკრანზე ასახონ თანამედროვეობა, გვაჩვენონ კომუნიზმის მშენებელი გმირი ადამიანების სულიერი სამყარო; ზოგიერთი სტუდენტის სცენარი ტელესტუდიამ მიმდინარე წლის საწარმოო გეგმაშიც შეიტანა.



სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენაზე

განყოფილებას ხელმძღვანელობს ახალგაზრდა მეცნიერი, დოცენტი ნ. ლეონიძე, რომელმაც საქართველოში პირველმა ტელევიზიის დარგში მოიპოვა სამეცნიერო ხარისხი.

ხელოვნების ფაკულტეტისადმი დიდ ყურადღებას და მზრუნველობას იჩენს უნივერსიტეტის რექტორი, ჩვენი საამაყო მეცნიერი, აკადემიკოსი ი. ვეკუა და პრორექტორი სასწავლო დარგში პროფ. ს. ჯორბენაძე, რომლებიც ფაკულტეტის ხელმძღვანელობას ყოველგვარ შესაძლებლობას აძლევენ უზრუნველყონ ეს დარგი კვალიფიციური სპეციალისტების მოწვევით, საჭირო სამოსწავლო-სამეცნიერო ლიტერატურისა და ინვენტარის შეძენით და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ადგილებში სტუდენტების სასწავლო-საწარმოო პრაქტიკისათვის მივლინებით. ფაკულტეტთან არსებობს სამეცნიერო საბჭო, რომელსაც სსრ კავშირის ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფ. შ. ამირანაშვილი ხელმძღვანელობს.

ფაკულტეტის მთლიანი კურსის დამთავრების შემდეგ ზოგი კურსდამთავრებული ასპირანტურაში დარჩება მეცნიერებისა და ხელოვნების შემოქმედებითი შერწყმის პრობლემებზე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გასაგრძელებლად, რათა დამუშავდეს ის რთული საკითხები, რასაც ჩვენი თანამედროვეობა აყენებს ხელოვნების წინაშე.

დოც. თ. გოგოლაშვილი მეცადინეობის დროს.



**გიორგი ხარატიშვილი,**
**ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.**

# ახალი ევროპის ბატონები

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების საპირისპიროდ, აგრესიული მიზნით შექმნეს ჩრდილოატლანტიკური კავშირი, ე. წ. ნატო. მასში გაერთიანდნენ ინგლისი, ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ნორვეგია, ნიდერლანდები, ისლანდია, ბელგია, იტალია, საბერძნეთი, თურქეთი, კანადა, პორტუგალია, ლუქსემბურგი.

ნატო — ეს არის ავთვისებიანი სიმსივნე ცენტრალური ევროპის მკერდზე, რომელიც მემკვიდრეობად დაუტოვა მსოფლიოს ჰიტლერის ბარბაროსულმა რეიხმა. ჯერ კიდევ 1945 წელს, როცა ჩვენი ჯარები უკვე რაიხსტაგს უტევდნენ, ჰიტლერის შემცვლელი ადმირალი დენიცი თავის უკანასკნელ ბრძანებაში ნაცისტური არმიისადმი აღნიშნავდა: „ჩვენ საგულდაგულოდ უნდა დავიცვათ ის უდიდესი მონაპოვარი, რაც ნაციონალ-სოციალიზმმა მოგვცა — ესაა ჩვენი ერთიანობა... იმისაგან დამოუკიდებლად, მოვინდომებთ ნაციონალ-სოციალიზმის ახალი ფორმით წარმოქმნას, თუ შევურიგდებით მოწინაამდეგის მიერ თავსმოხვეულ ცხოვრების წესს, ჩვენ უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ნაციონალ-სოციალიზმის მიერ მოცემული ერთიანობა შევინარჩუნოთ, რა ვითარებაშიც უნდა მოვხვდეთ“.

ნატოს სამხედრო ორგანიზაცია ჰიტლერელი ადმირალის ამ სიტყვების ხორცშესხმას წარმოადგენს. ნატოს მთავარი ბირთვი — ესაა თანამედროვე იარაღით აღჭურვილი დასავლეთ გერმანული თითქმის 800 ათასიანი არმია, რომელსაც მეთაურობენ ყოფილი ჰიტლერელი გენერლები და ოფიცრები, იგი ყველაზე ძლიერ და მრავალრიცხოვან არმიად ითვლება დასავლეთის სახელმწიფოების არმიებს შორის.

„თავდასხმა — აი რა უნდა მოვიმოქმედოთ, როგორც კი ამის შესაძლებლობა მოგვეცემა. სწორედ ასეთია მეთოდი ბრძოლისა, რომელიც გამოყენებული უნდა იქნას დასავლეთის მიერ მის შეჯახებაში აღმოსავლეთთან“, — ეს სიტყვები, რომლებიც მეტისმეტად ნათლად გამოხატავენ ნატოს ჭეშმარიტ დანიშნულებას, ეკუთვნის ჰიტლერული ვერმახტის ყოფილ გენერალ-ლეიტენანტს, შემდეგში დასავლეთ გერმანული ბუნდესვერის გენერალურ ინსპექტორს და ნატოს მუდმივი სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარეს, სამხედრო დამნაშავეს გენერალ ადოლფ ერნსტ ჰოიზინგერს.

ამ გენერალ-ჯალათს თავის დროზე არც დასავლეთ გერმანიის მიხრწნილი კანცლერი ადენაუერი ჩამორჩებოდა; „დასავლეთ გერმანიის შეიარაღება უნდა წარმოადგენდეს აღმოსავლეთ ევროპაში ახალი წესრიგის დამყარებისათვის მომზადებას, — ამბობდა იგი, — ოდერ-ნეისეს ხაზი არ წარმოადგენს გერმანიის აღმოსავლეთ საზღვარს“. ამასვე იმეორებენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახლანდელი მესვეურები, რომლებიც ომის ისტერიას აჩაღებენ.

უკანასკნელ ხანებში სულ უფრო აშკარა ხდება ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მისწრაფება, რათა ნატო გამოყენებულ იქნას როგორც ვიეტნამში ბინძური აგრესიის გაფართოებისათვის, ასევე ევროპაში რევანშისტული მიზნების განხორციელებისათვის. შესამჩნევად გაიზარდა ამ ბლოკში ბუნდესვერის პრიორიტეტი და ზეგავლენა; ეს კი ნათელს ხდის იმას, თუ რაოდენ სახიფათო ხდება ამ აგრესიულ ბლოკში ყოფნა სხვა ქვეყნებისათვის, რომლებიც შეიძლება მათ უნებურად იქნენ ჩათრეული ამერიკული და დასავლეთ გერმანული იმპერიალიზმის ავანტურაში. დასავლეთ ევროპის ქვეყნები სულ უფრო უხალისოდ ემორჩილებიან ძია სემის ბრძანებებს. დასავლეთ ევროპის დიდი სახელმწიფოების მთავრობები, — აღნიშნავს თავის წიგნში „კრიზისი დასავლეთში“ ჟურნალისტი დრიუ მიდლტონი, — თანდათან იწყებენ დამოუკიდებელ, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში ანტიამერიკულ პოლიტიკის გატარებას“.

ამის მაგალითია საფრანგეთი, და ამ ფაქტმა ღრმად ჩააფიქრა ნატოს როგორც ევროპელი, ისე ოკეანისგაღმელი მესვეურნი. გაითვალისწინეს რა ეს ახალი განწყობილება ევროპაში, აგრეთვე „ცივი ომის“ დოგმების სამარცხვინო გაკოტრების ფაქტები, მათ ლაპარაკი დაიწყეს იმაზე, რომ ცუდი არ იქნებოდა ნატოს გადაქცევა თავისებურ ფორუმად პოლიტიკური პრობლემების, მათ შორის დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთობათა საკითხების განსახილველად.

ნატოს მესვეურებმა სცადეს ამგვარი თაღლითური პირბადით შეებურათ არა მარტო თავიანთი პოლიტიკური მიზნები, არამედ თავიანთი სამხედრო სტრატეგიაც. საქმე ის არის, რომ ეს სტრატეგია შემუშავებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მესვეურთა თაოსნობით, ეს კი თავისთავად მეტყველებს მის აგრესიულ-რევანშისტულ ბუნებაზე.

ახლა არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ბონი ცდილობს თავისი ბნელი მიზნებისათვის გამოიყენოს ჩრდილო ატლანტიკის კავშირი და ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რათა ხორცი შეასხას თავის რევანშისტულ ზრახვებს.

ამ რევანშისტულმა პოლიტიკამ განსაკუთრებით იჩინა თავი ამას წინათ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში მომხდარი ამბების დროს. ჩეხოსლოვაკიაში მოწყობილ კონტრრევოლუციურ გამოხდომებს, რეაქციის მოციქულთა ცდას „დაეცურებინათ“ კაპიტალიზმისაკენ ჩვენი მოძმე ქვეყანა, ჩამოეშორებინათ იგი სოციალისტური ბანაკისათვის, განსაკუთრებული მონდომებით ამზადებდა და მხარს უჭერდა ბონელ ომისგამჩაღებელთა მთელი არმია, მთელი დასავლეთის ბურჟუაზიული პროპაგანდა, ნატოს წევრ სახელმწიფოთა წამქეზებლური პოლიტიკა. მაგრამ ისიც ნათელია ყველასათვის, თუ რა საკადრისი პასუხი მიიღეს მათ საბჭოთა კავშირის, მოძმე სოციალისტური ქვეყნებისა და თვით ჩეხოსლოვაკელი ხალხისაგან.

ფანდი არ გავიდა. ჩეხოსლოვაკია იყო, არის და იქნება სოციალისტური სახელმწიფო, ახალი, თავისუფალი სამყაროს მშენებელი სახელმწიფო. ნატოს წევრი ქვეყნების მილიტარისტული წრეების მუხანათური პოლიტიკა თვით ამ ქვეყნების ხალხთა სამართლიან აღშფოთებასა და პროტესტს იწვევს.

ამრიგად, დაძაბულობის მთავარი გამომწვევნი ევროპაში არიან ამერიკელი იმპერიალისტები, ბონის რევანშისტული ძალები და ნატოს მესვეურები. ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკს „ახალი სიცოცხლე უნდა შთავბეროთ“, განაცხადა კანცლერმა კიზინგერმა; ცხადია, აქ იგულისხმება ომის ისტერიის გაღვივება, რასაც საბოლოო მიზნად აქვს გადასინჯოს მეორე მსოფლიო ომის შედეგები.

მაგრამ ხალხები ნებას არ მისცემენ ამ თავაწყვეტილ რევანშისტებს კვლავ სისხლით მორწყან დედამიწა; ჯერ ისევ ადრე, როცა ნატოს გენერლებმა გამოაქვეყნეს მოწოდება, რომ ირლანდიის, ინგლისის, ამერიკის და სხვა ქვეყნების ხალხები მზად უნდა იყვნენ, რათა თავიანთი სიცოცხლე გასწირონ ჩრდილოატლანტიკის ბლოკის მიზნებისთვისო, გამოჩენილმა ირლანდიელმა მწერალმა შონ ო კეისიმ ასეთი მრისხანე პასუხი გასცა მათ: „მაშ, ასე! ვემზადოთ ბრძოლისათვის, ვემზადოთ სიკვდილისათვის, ვემზადოთ შეტაკებისათვის! ეშმაკსაც წაუღია თქვენი თავი! მოასვენეთ ბოლოს და ბოლოს ეს ჩვენი პატარა, მყუდრო სამყარო, ჩვენი პატარა მყუდრო ცხოვრება. ნუ აშფოთებთ ჩვენს სიზმრებს, ჩვენს პატარა ქუჩებს, ჩვენს პატარა სახლებს. ჩვენ გვინდა შევინარჩუნოთ ისინი, ჩვენ ისინი გვიყვარს! ჩვენ გვინდა ჩვენი სიკვდილით მოვკვდეთ ჩვენს საწოლში! გაიგეთ ეს, ბოლოს და ბოლოს, ბრწყინვალე მუნდირებში გამოწყობილო ძაღლიშვილებო!“

ასეთი პასუხი გასცა დიდმა მწერალმა ცეცხლთან მოთამაშე ვაჟბატონებს.

**ა. კუხრაშვილი**

# გიორგი როინიშვილი

რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი გიორგი როინიშვილი ქართველ მხატვართა იმ თაობას ეკუთვნის, რომელიც შემოქმედებითს ასპარეზზე ომის შემდგომ წლებში გამოვიდა.

...ომგადახდილი ჭაბუკი კვლავ სამხატვრო აკადემიას უბრუნდება და განაგრძობს სწავლას. მისი სადიპლომო ნამუშევარი „მარულა" იმთავითვე დიდ მოწონებას იმსახურებს. აქ უკვე ნათლად ჩანს ახალგაზრდა მხატვრის თავისებურება და ნიჭი. შემდგომში მის მხატვრულ გემოვნებაზე მეტყველებს პატარა ეტიუდები „წისქვილი" და „მხედარი". მეტად ნატიფი და ორიგინალური ხელი ატყვია მის პეიზაჟურ ეტიუდებს „ძველი თბილისი", „წისქვილი პოლონეთში". პეიზაჟის ოსტატი ღრმად გრძნობს მშობლიური კუთხის სილამაზეს. მის პეიზაჟებში შთამბეჭდავად არის ასახული ჩვენი ბუნება. მხატვარი თავის თავს ბატალურ ფერწერაშიაც ცდის.

უკანასკნელი ათი წელი მხატვრის განსაკუთრებული შემოქმედებითი აღმავლობით აღინიშნება. ის ნაყოფიერად მუშაობს როგორც თეატრში, ისე კინოში. მრავალი წლების მანძილზე გიორგი როინიშვილი თანამშრომლობს რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში.



მაისობა

მდიდარია გიორგი როინიშვილის გრაფიკული შემოქმედება, რომელშიც მთავარი ადგილი უჭირავს საბავშვო წიგნებისა და ჟურნალებისათვის შექმნილ ილუსტრაციებს. მხატვრის მიერ შესრულებული ილუსტრაციები ჟურნალ „დილას" ფურცლებზე მის ფაქიზ გემოვნებასა და მაღალ პროფესიულ ოსტატობაზე მეტყველებენ. მისი მეტყველი ნახატი, სადა და გასაგები პლასტიკური ენა მოზარდებისათვის საყვარელ მხატვრად აქცევს გიორგი როინიშვილს.

გიორგი როინიშვილის ნამუშევრები გაგზავნილ იქნა საბჭოთა მხატვრების როგორც საკავშირო და რესპუბლიკურ, ისე საზღვარგარეთ გამართულ გამოფენებზე.

გურია



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გიორგი
# რონიშვილი



ძველი თბილისი

კახეთის გზაზე



რუსთაველი და მისი გმირები



# დიმიტრი ხახუტაშვილი



ქალის პორტრეტი

1953 წლის შემოდგომაზე სამხატვრო აკადემიის ახალი გამოშვება განსაკუთრებით საამაყო იყო პედაგოგებისთვის. ამ წელს სადიპლომო ნამუშევრებს შორის შეიქმნა რამდენიმე თვალსაჩინო ნაწარმოები. მათ რიცხვში იყო დიპლომანტი დიმიტრი ხახუტაშვილის ფერწერული ტილო „საქართველოს მხცოვანი მხატვრები", სადაც დიმიტრი ხახუტაშვილი მომწიფებულ, ჩამოყალიბებულ ოსტატად მოგვევლინა. მას შემდეგ თხუთმეტმა წელმა განვლო; სადიპლომო ტილოს მოჰყვა მრავალფიგურიანი კომპოზიციები — „ჭიდაობა", „ბათუმის დემონსტრაცია" და პორტრეტების მთელი სერია, სადაც მხატვარი სულ უფრო და უფრო იხვეწება პროფესიულად, იძენს მეტ თავისუფლებას და წერის ახალ მანერას ავლენს.

დღეს დიმიტრი ხახუტაშვილი სახელმოხვეჭილი მხატვარია. მისი მრავალმხრივი შემოქმედებითი მოღვაწეობა მკაფიო კვალს აჩენს ჩვენს ფერწერას; ის ერთნაირი წარმატებით, მაღალი ოსტატობით მუშაობს სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგებში; მისი ნამუშევრები გვიზიდავენ მრავალფეროვანი თემატიკითა და შესრულების ოსტატობით. ხახუტაშვილის სახელოსნოში თქვენ ნახავთ მთელ რიგ საინტერესო პორტრეტებს, პორტრეტულ ეტიუდებს, რომლებშიც მხატვარი ოსტატობის ახალ სიმაღლეებს აღწევს.

როდესაც მის შემოქმედებაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის დიდი და ნაყოფიერი მუშაობა, რასაც იგი ეწევა დაზგური გრაფიკის დარგში. ამ მხრივაც მის საინტერესო შემოქმედებას ფართოდ იცნობს ჩვენი საზოგადოებრიობა.

მოხუცი ქალი



საბურთალოს პეიზაჟი





ნანა



ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნის პორტრეტი

# დიმიტრი ხახუტაშვილი

ნაშვილები.



# ზაზა მაშინ ოცი წლისა იყო



წელს, ოცდაორ თებერვალს, საბჭოთა არმიის ორმოცდაათი წლის იუბილესთან დაკავშირებით, ჩვენმა ტელევიზიამ საინტერესო ტელენარკვევი „განვლილი გზა“ გადასცა. ეს იყო ბელორუსიისა და საქართველოს სტუდიების საერთო ნამუშევარი. ამ გადაცემაში მეც ვმონაწილეობდი. მასში ნაჩვენები იყო ჩვენი წარსული ბრძოლების და ახლანდელი შრომის დაუვიწყარი სურათები; გავიხსენეთ ჩვენი მებრძოლი მეგობრები — ისინი, ვინც გმირულად დაეცნენ სამამულო ომის ფრონტზე, და ისინიც, ვინც გამარჯვებულნი დაბრუნდნენ და კვლავ ქვეყნის შენებას შეუდგნენ. მათ შორის ნახსენები იყო მტერთან ბრძოლაში დაღუპული ჩემი ფრონტელი მეგობარი ზაზა ციციშვილიც.

იმ დღესვე ბევრმა მაყურებელმა დამირეკა, უცნობმაც, ნაცნობმაც. ყველაზე უფრო ერთის ხმამ იმოქმედა ჩემზე: „ჩვენ ზაზა ციციშვილის ოჯახიდან გირეკავთ, ძალიან გთხოვთ შეგვხვდეთო“.

ზაზას სახლში მამამისი, მისი და, დეიდები და ბიძები დამხვდნენ. კარადიდან ზაზას მოწაფეობის დროს გადაღებული სურათი მიყურებდა. თვალწინ დამიდგა ცოცხალი ზაზა: მაღალი, მხარბეჭიანი, წელში გამოყვანილი სამხედრო ფორმა ჩამოსხმულივით რომ ედგა ათლეტურ ტანზე; ხორბლისფერ სახეზე შავად გადაკალმოდა წარბები, ჭკვიანი თაფლისფერი თვალები მშვიდად და ალერსიანად გამოიყურებოდნენ.

— შვილო, მე მამა ვარ მისი, ეს კი ჩემი ქალიშვილი თინიკოა... — აკანკალებული ხელებით სიძველისაგან გაყვითლებული ქაღალდი გაშალა მაგიდაზე.

— აი ესღა დაგვრჩა ზაზასაგან.

ეს სწორედ ის ქაღალდი იყო, რომელსაც მაშინ ელდა, ცრემლი, წუხილი და უბედურება მოჰქონდა ადამიანებთან: „თქვენი ვაჟი იასონ ნიკოლოზის-ძე ციციშვილი, დაბადებული ქ. თბილისში, სამშობლოსა და სამხედრო ფიცის ერთგული, 1941 წლის 12 აგვისტოს გმირულად დაიღუპა ფრონტზე. დამარხულია კიევის ოლქის სოფელ მიშალოვკაში“.

დიდი ხანია მიყუჩდა ომისაგან აფორიაქებული ვნებები, ომი ისტორიად იქცა, მაგრამ ჩვენი ადამიანები ვერასოდეს ვერ დაივიწყებენ იმ ტკივილებით და მწუხარებით აღსავსე დღეებს.

— შვილო, მეც ყოფილი მეთაური ვარ... მითხარი ყველაფერი, რაც ზაზაზე იცი.

ოთახში ირგვლივ მიმოვიხედე. ყველას ისე აქვს თვალები აცრემლებული, თითქოს დღეს პირველად გაეგოთ ზაზას დაღუპვის ამბავი.

აქ, თბილისში ცხოვრობენ ჩემი და ზაზას სხვა ამხანაგებიც — ფარნაოზ გომელაური, შოთა ზარდალიშვილი, ალექსი ჯავახიშვილი, თენგიზ ბილიხოძე, ვახტანგ კაკალაშვილი, თემო ბეჟიტაძე; ჩვენ ერთად მოგვიხდა შორეულ აღმოსავლეთში სამსახური. ახლა, ყოველ ტრადიციულ შეხვედრაზე ვიგონებთ ჩვენს დაღუპულ მეგობრებს და ისევ და ისევ განვიცდით მათი დაკარგვის სიმწარეს, ვიგონებთ ჩვენს ზაზასაც. დაე, იცოდეს და იამაყოს ყველა მისმა მახლობელმა, ამხანაგმა და ნაცნობმა, სკოლამ და კომკავშირმა, რომ ზაზა (იასონ) ციციშვილი ვაჟკაცი იყო და ვაჟკაცურადაც შეეწირა ჩვენი სამშობლოს თავისუფლებასა და ბედნიერებას.

ამას წინათ შორეულაღმოსავლეთელებმა (ასე ვეძახით ჩვენ ერთმანეთს) გავიხსენეთ, თუ როგორ ვიზეიმეთ სამხედრო ეშელონში ზაზას დაბადების დღე. 1941 წლის 1 თებერვალს ღამის პირველ საათზე შორეული აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ დავიძარით. დილით ზაზა ციციშვილის და ათმეთაურ ნიკო ტურიაშვილის ქართულმა სიმღერამ გამოგვაღვიძა.

— ადექით! — დაიქუხა ნიკომ, — ადექით, თქვე ძილის გუდებო! ჩვენს ზაზას დღეს ოცი წელი შეუსრულდა. იუბილე უნდა გადავუხადოთ!

მატარებელი მიჰქროდა, უკან ვტოვებდით უსურიის მხარეს, ამურისპირეთის ტრამალებსა და ბორცვებს, ჩვენს სამხედრო ბანაკს; ბიჭებმა საერთო ძალით ჯარისკაცული პურმარილი გამართეს. თამადად ნიკო ავირჩიეთ, როგორც მეთაური და როგორც ასაკითაც უფროსი. ეს თელაველი შავტუხა, ახოვანი ვაჟკაცი თავისი ოდნავ კეხიანი ცხვირითა და მოშვილდული წარბებით არწივსა ჰგავდა. დგომაც ისეთი იცოდა, საცაა მხრებს ასწევს და გაფრინდებაო.

ზაზა რომ ვადღეგრძელეთ, ნიკომ სთხოვა, აბა, გვიამბე როგორ გაატარე ეს შენი ოცი წელიო.

ზაზამაც გვიამბო... თუმცა ისეთს რას გვიამბობდა ჩვენი ტოლი ბიჭი, რომ ჩვენთვის უცნობი ან ახალი რამ ყოფილიყო. ჩვენ ჭაბუკები ვიყავით და ეს ჩვენი „პირველი ოცწლეულიც“ ისე ჰგავდა ერთმანეთს, როგორც ერთ ხეზე დაკრეფილი ვაშლები. მაინც დიდი გულისყურით ვუსმენდით, შიგადაშიგ ჩვენსას ვურთავდით, ვაქეზებდით, ვხუმრობდით.



ზაზა ციციშვილი თანამებრძოლთა შორის (შუაში).

ზაზა თბილისელი იყო, აქ დაბადებული და გაზრდილი. სამი წლისას დედა გარდაეცვალა და მისი მაგივრობა დიდედა ნინოსა და დეიდა მარგალიტას გაუწევიათ. მისთვის და მისი დაიკო თინასათვის აღმზრდელად გერმანელი ქალი მიუჩენიათ. ამ ქალის შემწეობით ზაზა ჩინებულად დაეუფლა გერმანულ ენას და გერმანულ 107-ე საშუალო სკოლაში შევიდა. ამიტომ ზაზა და მისი ამხანაგები ისე ლაპარაკობდნენ გერმანულად, რომ ბევრს მართლა უცხოელები ეგონათ.

— ბიჭებს შეეშვი, შენ ეს გვითხარი, გოგონებიდან რომელი იყო შენი გულის ვარდი, მართალი თქვი, გაფიცებ იმ შენი კარგი დედის სულს, — წაუქუთაისურა დათიკო დოლონაძემ.

— სახელს არ გეტყვით, მაგრამ თბილისში რომ დავბრუნდებით, იმ გოგოს ჩვენს ქორწილში გაგაცნობთ, — გაიღიმა ზაზამ.

ზაზა სპორტით და თეატრით იყო გატაცებული, სპორტსაზოგადოება „ტემპის“ წევრიც იყო და გრიბოედოვის სახელობის თეატრის სცენისმოყვარულთა დასშიც იღებდა მონაწილეობას. სკოლის გამოსაშვებ საღამოზე გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“ დაუდგამთ, ჩაცკის როლი თვითონ შეუსრულებია და მაყურებელთა მოწონებაც დაუმსახურებია. მერე კი ჯარში წასულა.

ბიჭებმა კიდევ დიდხანს ისაუბრეს.

მატარებელი მთელი სისწრაფით მიჰქროდა დასავლეთისაკენ, მიჰქროდა შეუნელებლივ, დღეც და ღამეც.

გავიდა ათი დღე და ჩვენ ლვოვის სამხედრო ოლქის შემადგენლობაში აღმოვჩნდით, სოფელ ვასილკოვთან ტყის პირას დავბანაკდით. თითქოს კვლავ თავის კალაპოტში ჩადგა ჩვენი ჯარისკაცული ცხოვრება; მაგრამ უაღრესად გადატვირთული დღის რეჟიმი, ღამის მანევრები და მეთაურთა გულღია ლაპარაკი აშკარად გვაგრძნობინებდნენ, რომ ჩვენი სამშობლოს ცა ომის ღრუბლებით ინისლებოდა.

როგორც კი ომი დაიწყო, ჩვენ, ქართველი ბიჭები: ზაზა ციციშვილი, ნიკო ტურიაშვილი, შოთა გველესიანი, შალიკო მაჩაიძე, თემო კაპანაძე, ბიკენტი ჩალაძე, ნიკო ბარდაველიძე, პიპიკო გვენეტაძე, დათიკო დოლონაძე, დათიკო მუჯირი და ლავრენტი გეგეშიძე ერთად შევიკრიბენით და დავთქვით, რომ ერთმანეთს განსაცდელის დროს გვერდიდან არ მოვცილდებოდით და უპატრონოდ არ მივატოვებდით.

მტერი გააფთრებით მოიწევდა. თითქმის ყოველ დღე გვაკლდებოდა თითო-ოროლა მეგობარი. ვიხევდით კიევის მიმართულებით. ომი უმკაცრესი გამოცდა იყო ჩვენთვის და ამ გამოცდას ჩვენი ბიჭები ბრწყინვალედ აბარებდნენ. ვკითხულობ ახლა ზაზას მაშინდელ წერილებს და მიკვირს ამ ოცი წლის ბიჭის საოცარი

წინდახედულება და ვაჟკაცობა. აი ერთი მათგანი:

„ჩემო ძვირფასებო!

მე ისევ ვმოგზაურობდი და ეხლა გწერთ ქ. კოროსტენიდან. ალბათ ერთხანს აქ ვიცხოვრებ, თუ რაიმე უცაბედი ცვლილებები არ მოხდა და აქედანაც არ მოგვიხდა წასვლა. თქვენ ალბათ იცით, რომ ფაშისტებმა დაიპყრეს კაუნასი, ვილნიუსი, გუშინ კი ლვოვიც აიღეს. თუმცა მათ დაკარგეს უამრავი ცოცხალი ძალა და ტექნიკა, მაგრამ ჯერ კიდევ მოიწევენ წინ. ჩემზე თითქმის არაფერი შემიძლია მოგწეროთ. მე კარგად ვარ და თქვენც კარგად ყოფნას გისურვებთ. გეტყვით მხოლოდ, რომ ჩვენ მოგვიხდა მთელი უკრაინის ტყისპირეთის გავლა. ტყე მთლიანად ფოთლოვანია, ხშირი, ხშირი და უცებ თვალწინ აგვიკიაფდა მინდვრის ყვავილებით მოჩითული მიდამოები. გზაზე ხალხი მეგობრულად ხვდებოდა სამხედრო ეშელონებს, გვესროდნენ ყვავილების თაიგულებს... წერილთან ერთად გიგზავნით უკრაინის მინდვრის ყვავილებს, რომლებიც გზაზე გოგონებმა მომიძღვნეს, თუ გზაში არ გაფუჭდა, ნახავთ თუ როგორი ლამაზები არიან. ნახვამდის, ჩემო ძვირფასებო, გკოცნით ყველას. თქვენი ზაზა. 2 ივლისი, 1941 წელი“.

დააკვირდით ამ პატარა ბარათს. ზაზა არ შემკრთალა, არ გატეხილა, მას, სულით სპეტაკ ჭაბუკს ისევ შეეძლო ელაპარაკა ყვავილოვან მდელოზე და ისიც იმ დროს, როცა განუწყვეტლად თავს დაგვტრიალებდნენ მტრის ბომბდამშენები და გამანადგურებლები, როდესაც ყოველ ნაბიჯზე სიკვდილი იყო ჩასაფრებული.

ბრძოლის ქარცეცხლმა უკრაინის დედაქალაქში გადმოგვისროლა. ოდესღაც წალკოტივით აყვავებული კიევი ბომბებისაგან დამახინჯებული და გადათხრილი დაგვიხვდა. ჩვენ კიევის მახლობლად არყის ხეების ჭალაში დავბანაკდით. ყოველდღე ოთხ-ხუთ ხაჭაერო თავდასხმას ვიგერიებდით. გერმანელები ბომბავდნენ ყველაფერს. ბომბების ნამსხვრევებმა ისე ჩამოლეწა არყის ხეები, რომ კანზე ჩამოკიდებული ტოტებით მტირალა ტირიფებს დაამსგავსეს. ფაშისტები დაჟინებით მოიწევდნენ კიევისაკენ და არაფერს არ ზოგავდნენ, რათა მალე ჩაეგდოთ ხელში ეს უმშვენიერესი ქალაქი. ღამით მათს თვითმფრინავებს ჩვენს ზურგში გადმოჰყავდათ დივერსანტები და ჯაშუშები, რათა მოსახლეობაში პანიკა და არევ-დარევა გამოეწვიათ. ერთი ასეთი დივერსანტი ჩვენმა მებრძოლებმა შეიპყრეს. იგი ზაზას, როგორც გერმანული ენის მცოდნეს წარუდგინეს. ზაზამ ისე ოსტატურად დაჰკითხა იგი, თითქოს მთელი სიცოცხლე თარჯიმნად უმუშავნიაო. ამ ფაშისტისაგან შევიტყვეთ გერმანელთა სარდლობის ზრახვები, შევიტყვეთ, რომ მზადდებოდა გენერალური შეტევა კიევისათვის ალყის შემოსარტყმელად; ამ ცნობებმა დიდი სამსახური გაუწია ჩვენს სარდლობას სწორი ოპერატიული გადაწყვეტილების მისაღებად.

სამ აგვისტოს საღამოს გამოგვიცხადეს: დილაზე კონტრშეტევაზე გადავალთ კიევის ახლომდებარე სოფლების გასათავისუფლებლად, რათა ღრმა ზურგში წასვლის საშუალება მივცეთ კიევში დარჩენილ ჰოსპიტლებს, ბავშვებს და მოხუცებსო. ზაზამ მაშინვე წერილის წერა დაიწყო:

„ჩემო ძვირფასებო! აგერ უკვე სამი დღეა, რაც კიევთან ახლომდებარე სოფელში ვცხოვრობთ. ჩვენთან სიმშვიდეა და არავითარი საშიშროება არ გველის. ომამდე საკმაოდ კარგად შევისწავლე დაზგის ტყვიამფრქვევი „მაქსიმკა“ და ახლა მოვუჯდები ხოლმე ამ მძლავრ იარაღს გერმანელების თვითმფრინავების მოსაგერიებლად... ჩემს შესახებ მოსაწერი მეტი არაფერი მაქვს. კარგადა ვარ. მხოლოდ მოწყენილი ვარ იმის გამო, რომ ვერაფერს ვგებულობ ფრონტის სხვა უბანზე მყოფი ჩემი ამხანაგების შესახებ, და კიდევ იმიტომ, რომ მალ-მალე ადგილის გამოცვლის გამო არა და არ მეღირსა თქვენგან წერილის მიღება. ჩემი ახალი სამყოფელი ძალიან კარგი ადგილია, მდიდარი და ბაღებში ჩაფლული უკრაინული სოფელია. ვიძინებთ პირდაპირ ხილის ბაღში, ხეების ქვეშ. აქ ბევრია ხენდრო და მოცხარი, რამაც ჩემი საყვარელი საქართველო გამახსენა. მოსახლეობა კეთილი და გულწრფელი ხალხია, ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ მთელი უკრაინა ერთიანი ლამაზი ბაღია. ჩემო ძვირფასებო, მე უთქვენოდ ძალიან მომეწყინა. როგორ ცხოვრობთ, ხომ ყველანი ჯანმრთელად ხართ, როგორ მიდის თინიკოს სწავლის საქმე, როგორ არიან ბიძია ნიკოლოზი, დეიდა მარგალიტა და მათი პატარა ვაჟკაცი?...

იყავით ჯანმრთელნი და ბედნიერნი, ჩემო ძვირფასებო! სალამი ყველა მახლობელს და ნათესავს. გკოცნით ყველას. თქვენი ზაზა. 3 აგვისტო, 1941 წელი“.

ეს იყო ზაზას უკანასკნელი წერილი. როდესაც თბილისში მისი მახლობლები ზაზას წერილზე სიხარულის ცრემლებს აფრქვევდნენ, სწორედ იმ დროს მტერთან უთანასწორო ბრძოლაში მათი ზაზა — იახონ ცაციშვილი გმირის სიკვდილით დაეცა.

იმ დღეს გარიჟრაჟზე ჩვენმა ნაწილმა შეტევა დაიწყო. მთელი დღის ბრძოლის შედეგად კიევის აგურის ქარხნის ტერიტორია გავანთავისუფლეთ. ღამე სოფელ პერეგოვკის მისადგომებთან გავათენეთ. ბრძოლით მოქანცულმა ჯარისკაცებმა დაძინება ვერც კი მოასწრეს, რომ ჩვენს განლაგებაში მტრის ყუმბარებმა იწყეს აფეთქება. ყველანი სასწრაფოდ წამოიშალნენ და მოკლე-მოკლე გადარბენებით მტერთან მიახლოება იწყეს. სოფელ პერეგოვკაში ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. ჰიტლერელებმა ხელჩართულ ბრძოლაში ვერ გაგვიძლეს. შეტევის ერთ ტალღას მეორე ტალღა მოჰყვა, მეორეს— მესამე და სოფელი პერეგოვკა მტრის ჯარისაგან გავწმინდეთ. საღამოს სიის ამოკითხვის შემდეგ ბატალიონის მეთაურმა აღნიშნა, რომ დღეს განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქართველმა მებრძოლებმა, რომლებიც გამოირჩეოდნენ სისწრაფით, მოქნილობით, საზრიანი მოქმედებით და ვაჟკაცური შემართებით; თუ ხვალაც ასე გაბედულად და მოხერხებულად ვიმოქმედებთ, სოფელ მიშალოვკასაც გავათავისუფლებთო, ხომ ხედავთ, ფაშისტები არც ისე უძლეველები ყოფილან, როგორც თვითონ აქვთ წარმოდგენილიო.

12 აგვისტოს ჩვენი ასეული, სადაც ძირითადად ქართველი მებრძოლები იყვნენ, სწრაფად წინ გაიჭრა, მიადგა მიშალოვკას და სოფელთან ახლომდებარე ტყეს მიაშურა. ჩვენი ბატალიონის დანარჩენი შემტევი ასეულები ოდნავ შეყოვნდნენ, რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მტერს მათთვის გზა გადაეჭრა. ჩვენ ძირითადი ძალებისაგან მოწყვეტილი აღმოვჩნდით. ასმეთაურმა გლადკოვმა სამჯერ გაგზავნა ჯარისკაცი კავშირის დასამყარებლად და სამივე გზაში დაიღუპა. გერმანელები კონტრიერიშზე გადმოვიდნენ. სამჯერ წამოვიდნენ ფსიქიკურ იერიშზე, მაგრამ ზაზა ცაციშვილისა და ნიკო ტურიაშვილის ტყვიამფრქვევის ცეცხლმა და ჩვენი შაშხანების ტყვიამ მათ გზა გადაუღობა. ვაზნები ილეოდა, შევსება კი სად უნდა მიგვეღო? ვაზნების უქონლობის გამო გაყუჩდა ზაზას დაზგის ტყვიამფრქვევიც, რომელიც ჩვენი ასეულისათვის ერთადერთი და მთავარი იმედი იყო.

ზაზა სანგრიდან ამოხტა და თვალის დახამხამებაში სადღაც გაუჩინარდა. ცოტა ხნის შემდეგ უკან დაბრუნდა. ხელში გერმანული ავტომატი ეჭირა ოთხი დისკოთი, ტანზე კი უნტეროფიცრის ფორმა მოერგო.

— ეს რა მასკარადია! — გაჯავრდა ზვიაგინი, — ასე ხომ შეიძლება შეცდომით შენიანებმა მოგკლან!

— კარგი, მაგრამ ხომ შეიძლება, ამხანაგო მეთაურო, გერმანელებსაც შევეშალო და თავისიანად მიმიღონ? მამინ იმ გერმანელთა დაზგის ტყვიამფრქვევამდე, ბორცვის იქით რომ დგას, შეუფერხებლად მივალ.

— მართლა ნამდვილ ფრიცს არა ჰგავს ჩვენი ზაზა! ჰალტ! ჰენდე ჰოხ, ფრიც! — გაემასხრნენ ბიჭები. ზაზას თვალებზე ეტყობოდა, რომ ხუმრობის გუნებაზე არ იყო და კვლავ დინჯად განაგრძო:

— ვაზნები გამოგველია. დაყოვნება აღარ შეიძლება. თუ ის დაზგის ტყვიამფრქვევი არ მოვსპეთ, ბორცვის იქით რომ დგას და გზას გვიკეტავს, ჩვენს კონტრშეტევას აზრი არ ექნება, ყველას გაგვწყვეტენ. სანამ გერმანელები გაერკვევიან, მე უკვე მათ განლაგებაში ვიქნები, მერე კი თქვენ იცით, როგორც მომეშველებით, შეტევის ნიშანი ავტომატის გრძელი ჯერი იქნება.

ზაზას ჩანაფიქრი მეთაურებმა ჰოიწონეს. ამ გადაწყვეტილებამ ჩვენ ყველანი შეგვაშფოთა და დაგვაღონა, ეს ხომ ნამდვილ თავგანწირვას ნიშნავდა, მაგრამ აბა, რას ვიზამდით; ზაზა ჯიუტი იყო და შუა გზიდან დაბრუნება არ უყვარდა. ოდნავ წელში მოხრილი მიუახლოვდა გერმანელთა სანგრებს. მერე გასწორდა და ტყვიამფრქვევისაკენ ფართო ნაბიჯებით გასწია. სანამ გერმანელები გაერკვეოდნენ, თუ რა უნდოდა ამ უცნობ „უნტეროფიცერს“, ზაზამ ჯერ ხელყუმბარა სტყორცნა ფაშისტებს, მერე ავტომატის გრძელი ჯერი მიაყოლა და იქვე სანგარში ჩახტა. გაოგნებული გერმანელები ერთი ხანობა გაშეშდნენ ამ მოულოდნელი თავდასხმით, მერე კი ყოველი მხრიდან ატეხეს სროლა, ზაზა მტერს იგერიებდა.

— აბა, ბიჭებო, ახლა კი სწრაფად წინ! — დასჭექა ასეულის მეთაურმა გლადკოვმა.

მებრძოლები წამოფრინდნენ სანგრებიდან და ორიოდე წუთში მტერს ეკვეთნენ. გამწარებული მივქროდით ზაზას მისაშველებლად; ნიკო ტურიაშვილს თავის ძლიერ მკლავებში ტყვიამფრქვევი ჰქონდა ამოჩრილი, მირბოდა და თან ისროდა. მტრის ტყვიამ ზედ ბორცვთან წააქცია. ლეიტენანტ ზვიაგინს ქამარზე ჩამოკიდებული ყუმბარები აუფეთქდა. იქვე დაეცა ბევრი ჩვენი თანამემამულე. მაგრამ ჩვენი ჯარისკაცები ვერ შეაკრთო სეტყვასავით წამოსულმა მტრის ტყვიებმა. მამაცურად ეკვეთნენ შეძრწუნებულ ფაშისტებს და ერთიათად მიუზღეს დაღუპული მეგობრების სისხლის სამაგიერო. ალყა გარღვეულ იქნა. შევუერთდით ჩვენს ძირითად ძალებს და სოფელი მიშალოვკა მთლიანად გავათავისუფლეთ.

როდესაც ზაზასთან მივედით, იგი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მკერდის არეში რამდენიმე ტყვიით იყო მძიმედ დაჭრილი. ზაზამ თვალები გაახილა, მიმოიხედა, მაგრამ ველარაფერი თქვა, მარტო გაიღიმა, ოდნავ, ძლივს შესამჩნევად, თითქოს სიკვდილს დასცინისო.

ილია ტატიშვილი



# [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატი დ. ერისთავისა.

მოთხრობა

ოთახში ვახტანგი შემოვიდა. გარედან სიცივე შემოჰყვა.

ნანა საწოლზე იჯდა, ფანჯარაში დაკიდებულ ცის ნაგლეჯს შეჰყურებდა. ცაზე ლურჯი და აგურისფერი შერეოდნენ ერთიმეორეს.

ადგა. ფანჯარასთან მივიდა. ქუჩაში არავინ ჩანდა.

მინა დააორთქლა, თითით დახატა რაღაც

ცაზე აგურისფერი მატულობდა.

ფანჯრიდან ჩანდა სახლის სახურავები, რადიომიმღებების ანძები, მეხამრიდები, აგურის საკვამურები, კვამლი. კვამლი უერთდებოდა ცას, ფერმკრთალდებოდა და გამჭვირვალე ხდებოდა. აგურისფერი თანდათან გადადიოდა ცეცხლისფერში, სისხლის ფერში.

საოცრად იქცეოდა ქარი. დროგამოშვებით დაჰბერავდა ხოლმე, სამ წუთს განუწყვეტლად ქროდა, დაერეოდა ღრუბლებს და თითქოს რაღაც უხაროდა.

ცეცხლისფერი ღრუბელი იწეწებოდა, იძენძებოდა.

ნანა მოიბუზა. მხრებზე შალი მჭიდროდ მოიხურა და ისევ ჩამოჯდა საწოლზე.

ვახტანგს უკვე ეძინა.

„საწყალი, ძალიან იღლება“, — გაიფიქრა ნანამ. უნდოდა მოფერებოდა მძინარეს, განძრევა ეზარებოდა საშინლად. უეცრად რაღაცა ძალამ წამოაგდო. კარადასთან მივიდა. გამოაღო.

პური არ ჰქონდათ. არც სხვა საჭმელი.

მხოლოდ ორი თავი ხახვი.

ხის ქვიჯაში რამდენიმე დღის წინ დანაყილი ნიგვზისა და ოხრახუშის სურნელი იდგა. დაყნოსა მძაფრად. ნერწყვი მოადგა.

შიოდა.

ორივეს შიოდა.

ნანა ტილოსთან მივიდა. გუშინ გაუთავდა საღებავები. სურათი ვერ დაამთავრა. წუხდა. ხანდახან ეს წუხილი შიმშილსავიწყებდა. მაშინ ძალღონე ემატებოდა.

სურათის დამთავრებას ცოტა უკლდა.

მთებში მოქცეული სოფელი. შემოდგომა. ტალახიანი გზა. გზაზე დგას ჯარისკაცი. ოჯახს ემშვიდობება. ცოლი მკერდზე ჰყავს მიხუტებული, მარჯვენათი ბავშვებს უნდა მოეხვიოს და არსად ჩანს მარჯვენა, საღებავი არ ეყო...

მკლავის დარდი აწუხებს ნანას.

ისე ეცოდება დაუმთავრებელი სურათის ბავშვები, რომლებიც მამისაკენ მიიწევენ, თითქოს მისი ბავშვები იყვნენ ისინი.

გული არ ასვენებდა ნანას. გული გაურკვეველ გრძნობებს აღუძრავდა. სიცხეც მისცა დაუმთავრებელი სურათის გამო. ახლაც სიცხე აქვს. არ დაიჯერებდა ასეთი რამ სხვისაგან რომ გაეგო.

ვახტანგმა გამოიღვიძა.

ნანასთან მივიდა და აკოცა.

გაეცინა.

— რა გაცინებს?

ნანამ გაიღიმა.

— ახლა რომ საღებავები მქონდეს, საქორწილო სუფრას დავხატავდი. გრძელ, გრძელ მაგიდას. ზედ ათასნაირ საჭმელს, თამადად მე დავჯდებოდი.

გასმევდი, დაგათრობდი.

მერე შენ იქნებოდი თამადა.

მადლეგრძელებდი.

ვიმღერებდით. ამხელა სუფრაზე ჩვენ ორნი!

— მე მეზობლებსაც დავპატიჟებდი.

— ხო, რა თქმა უნდა.

ვიღაცამ დააკაკუნა...

— აგე, სტუმრებიც!

...ქარი ასკდება ფანჯრებს.

ღამდება. სინათლე არ აუნთიათ. რა საჭირო იყო?

დაწვნენ.

ომი იყო... ქვეყანა იბრძოდა.

ფანტაზია ადამიანთა გაჭირვების ათასგვარ სურათებს წარმოუდგენდა ხოლმე ნანას. იგი მზეს ვეღარ ხატავდა. უწინ კი ძალიან უყვარდა ნათელი სურათები.

...მზიანი ამინდი იყო ხუთი დღის წინ, იგონებდა ვახტანგი. გირლიანაიას მთის ძირში, მიწურში ვისხედით მე და გიორგი. თენდებოდა. მერე დადგა მზიანი დღე: ჯარისკაცები მიწურებიდან ამოდიოდნენ, ორიოდ წამით მნათობს ეფიცხებოდნენ. ის უხვად აბნევდა სხივებს ცოდვილ დედამიწას... მერე მეომრები მიდიოდნენ, სალამოთი, გადარჩენილები ლექსებს ისმენდნენ და ხელს გვართმევდნენ მე და გიორგის... მეორე დილას, ერთი იმათთაგანი, ვინც ხელი ჩამოგვართვა, მავთულხლართზე იყო გადაგდებული. ცისფერი ხაზი ერქვა იმ მავთულხლართს, ცისფერი ხაზი...

ალბათ სოფელში უფრო ადვილი იქნება ცხოვრება, ფიქრობდა ნანა. აი, ჩემი სახლი, პატარა ეზო. ყვავილები. მაჯრის სუნი. შემოდგომის ზღაპრები... და... სულ პატარა ბედნიერება.

მაგრამ ქვეყანაზე ომია.

— ვახტანგ!

— რა იყო?!

— წავიდეთ სოფელში დედასთან.

— არ შემიძლია, რამდენიმე დღეში ისევ ფრონტზე მივდივარ, საკონცერტო ბრიგადასთან ერთად.

დიდხანს ვერ დაიძინეს. ოთახში ციოდა.

მეორე დღეს ვახტანგმა ახი მანეთი იშოვნა და გახარებული შემოვიდა სახლში.

ნანას სიცხე ისევ აწუხებდა.

— ყველი და ჭადი, პრასა და მაწონი, კიდევ რა გინდა, ნანა?!

— მეტი არაფერი.

— წყალი თუ მოდის?

— რამდენიც გინდა.

— მადლობა ღმერთს. გაათბე წყალი, მე ჭადის ფქვილს მოვიტან.

ბაზარზე მყიდველი არ იყო ბევრი. გამყიდველები დუმდნენ. არავინ აქებდა საქონელს.

— რა ღირს ფქვილი, ძიაკაცო?!

— ფუთი ათას ექვსასი, რამდენი გინდა?

— ფუთი.

— უჰ, აგაშენა ღმერთმა!

ვახტანგმა გაიცინა.

— ერთი კილო მინდა.

— აგაშენა ღმერთმა!

— შვიდ თუმნად მომეცი, ძიაკაცო!

— ვერა, შვილო. ჩვენც გვიჭირს. ჰა, ცხრა თუმნად წაიღე.

— ნაკლები არ იქნება?

— ვერ იქნება, ვერა!

— აწონე...

— ...ვა! ე ვინ ყოფილხარ, შვილო!..

...ნელა მიდიოდა ვახტანგი სახლში. წვიმა წამოვიდა. პალტოს უბეში შემალა ნაყიდი.

ნანამ კარები გააღო.

წყალი აედუღებინა. მაგიდაზე ორი თავი ხახვი იდო. ქვიჯაში თბილი წყალი ჩაასხა, შიგ ხახვი ჩააჭრა, მარილი მიუმატა... ორივეს გაეღიმა.



# ყარაბაღის ელჩი ერეკლეს კარზე

ვაგიფის დაბადებიდან 250 წლისთავის გამო

მეთვრამეტე საუკუნის დიდი აზერბაიჯანელი პოეტი მოლა პანაჰ ვაგიფი დაიბადა 1717 წელს, ქ. ყაზახის მახლობლად, სოფელ გირახ-სალახლიში. ვაგიფი მალე საცხოვრებლად გადავიდა ჯერ განჯაში და მერე ყარაბაღის სახანოს დედაქალაქ შუშაში. აქ იგი მალე დაიახლოვა ყარაბაღის მფლობელმა იბრაჰიმ-ხანმა და თავის პირველ ვაზირად აქცია.

ვაგიფს ბევრი რამ ჰქონდა საერთო საიათნოვასთან. ჯერ ერთი, ორივენი საზის ვირტუოზული დამკვრელები, დიდებული იმპროვიზატორები იყვნენ, ორივენი წერდნენ შესანიშნავ მუხამბაზებს. მაგრამ მათ მარტო საზი და მარტო პოეტური ჟანრი როდი ანათესავებდათ — ვაგიფი ხშირად ჩამოდიოდა თბილისში, როგორც ელჩი ყარაბაღის ხანისა, ჩამოდიოდა სწორედ იმ ხანებში, როცა საიათნოვა უკვე სახელგანთქმული მგოსანი იყო და ყოვლად წარმოუდგენელია, რომ ერეკლეს კარზე ისინი არ შეხვედროდნენ ერთიმეორეს, არ გაეწვიათ ერთიმეორე პოეტურ მუშაირეში, მით უმეტეს, რომ ორივენი ამ მუშაირეს ბრწყინვალე ოსტატები იყვნენ.

მაგრამ მარტო ამით როდი ჰგავს ერთიმეორეს ვაგიფისა და საიათნოვას ბიოგრაფიები. ძველი ხალხური გადმოცემის მიხედვით, საიათნოვა მოჰკლეს ალა-მაჰმად-ხანის ჯარისკაცებმა, როცა ისინი თბილისში შემოიჭრნენ. ვაგიფის ბიოგრაფიის მკვლევარები მოგვითხრობენ, რომ თბილისიდან გაბრუნებულმა ალა-მაჰმად-ხანმა კრწანისის ბრძოლის მეორე წელს ქალაქი შუშა აიღო, აზერბაიჯანელი პოეტი დააპატიმრა და სიკვდილი მიუსაჯა. მაგრამ ალა-მაჰმად-ხანი იმ ღამეს მოჰკლეს და პოეტი დილით უკვე თავისუფალი იყო.

კიდევ ერთი რამ საერთო აქვთ ვაგიფსა და საიათნოვას — ესაა მათი ნაზი და გულწრფელი, დაუცხრომელი სიყვარული საქართველოსადმი. მეთვრამეტე საუკუნის ორი დიდი პოეტი, ორი ბრწყინვალე მესიტყვე თავისი ხალხისა — ერთი სომეხი და მეორე აზერბაიჯანელი, ერთიმეორეს ეჯიბრებიან იმ სილამაზის გამოხატვაში, რომლითაც მათ თვალი მოსჭრა თბილისმა. კითხულობ მათ ლექსებს და მთელი არსებით გრძნობ, რაოდენ ძლიერია ეს სიყვარული, რაოდენ სუფთაა და წმინდაა ის.

ვაგიფი სატრფიალო ლირიკის ჯადოქარი ოსტატი იყო — მისი გაზელებისა და მუხამბაზების თემა სიყვარული იყო, და თბილისმა ამ მხრივაც ახალი ფერები შემატა მის პალიტრას. ვაგიფმა გატაცებით უმღერა ქართველი ქალის სილამაზეს. პოეტი აქ თავის სტიქიაში იყო: მან ხმამაღლა, საქვეყნოდ განაცხადა, რომ მზად არის ჰგმოს ალაჰი, ზურგი შეაქციოს მიზგითას და ეკლესიაში იაროს, რადგან სალოცავად იქ დადიან თბილისის ქალები — ულამაზესი ყვავილები ამ ქვეყნისა, აქ დახატულია ძლევამოსილება სიყვარულისა, რომლის წინაშე უძლურია ყოველგვარი რელიგია; ლექსში „ქართველ ქალს" ვაგიფი წერს:

ვით ქანდაკება, კეკლუცი, ტურფა,
ეკლესიიდან გამოდის იგი.
თამამი, ლაღი და მომღიმარი,
ეკლესიიდან გამოდის იგი.
როგორც ფადიშაჰ, ფარჩით მოსილი,
ეკლესიიდან გამოდის იგი.
ვით მზე ნათელი, ახდილი სახით,
ეკლესიიდან გამოდის იგი.
სხივებით მოსავს ქვეყანას, ოდეს
ეკლესიიდან გამოდის იგი.
გადავარცხნილი იმისი თმები,
სურნელს აფრქვევენ, ვითარცა ია,
შეაწეული თავი და სახე
არის უჩადრო, სრულიად ღია.
უმზირე, რა სჯობს იმისი ყელის,
მისი ნარნარი ტანის ყურებას.
ღმერთო მიხსენი! თვალწარბნი მისნი
მოასწავებენ უბედურებას.
სარწმუნოების აღმოსაფხვრელად
ეკლესიიდან გამოდის იგი.

ასე წერს ვაგიფი თბილისზე, სიყვარულზე, ლამაზ ქალზე, სიცოცხლის სიხარულზე და წუთისოფლის მშვენებაზე. „აზერბაიჯანის ისტორიაში", რომელიც აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა, ვაგიფის ამ ლექსების გამო აღნიშნულია: „ვაგიფის ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლექსებს, რომლებიც დაწერილია თბილისში, პოეტის იქ გამგზავრების დროს. საქართველოს დედაქალაქს ის „მხოლოდ სამოთხეს" უწოდებს, აღტაცებულია ამ ქალაქის სილამაზით, მისი ადამიანებით".

ქართველი ხალხი დღეს სიყვარულით იხსენებს მოძმე აზერბაიჯანის დიდ პოეტს.

გ. ნატროშვილი

— გემრიელი ჭადია, ვახტანგ?

— ძალიან, სამტრედიისაა.

— მაინც რა ღირდა?

— ათას ექვსასი, ფუთი.

— ნაკლებ არ მოგცა, ვახტანგ?

— მომცა... შემოსასვლელში დევს.

ნანა გავიდა შემოსასვლელში.

თაროზე იდო... სალებავების პატარა ყუთი.

ვახტანგი ფანჯარაში იყურებოდა.

ფანჯრიდან ჩანდა სახლის სახურავები, რადიომიმღების ანძები, მეხამრიდები, აგურის საკვამურები, კვამლი.

ქარი კი არ იყო.

ვახტანგმა ცხელი მკლავების შემოხვევა იგრძნო კისერზე...

— იმ სურათს მაინც ვეღარ დავამთავრებ, სხვა რამეს დავხატავ!

— რატომ?

— არ ვიცი. ვერ დავამთავრებ. ნახატს ვერ მივეკარე, ვერ მივეკარე...

დროთა განმავლობაში შიმშილის გრძნობამ თავისი სიმწვავე დაჰკარგა. იგი ბევრის მთქმელ მოგონებად გადაიქცა მხოლოდ. სიმწვავე კი აღარ იყო.

დაუსრულებელი მკლავის დარდი კი სამუდამოდ დარჩა ნანას ხსოვნაში.

თენგიზ კიკაჩეიშვილი

## ვაგიფი

* * *

თვალში შუქი დაიწმინდა — წერილია საყვარლისა,
დამიბრუნდა ჟამი წმინდა — წერილია საყვარლისა.

წავიკითხე — შლეგი, ხელი სასუფეველს შევწვდი ხელით,
მზეა გამცისკარებელი — წერილია საყვარლისა.

ცალად ვიყავ, ცრემლსა ვღვრიდი, დავბრმავდი და ვეღარ ვხედავ,
შენ ხომ ხედავ, ღმერთო ერთო — წერილია საყვარლისა.

მთვარის შუქით ნაწერია, ხაზია თუ ძაფი მზისა,
გზას გავყურებ, გზა არი თუ წერილია საყვარლისა?!

საყვარელო, შემიყვარე, ვაგიფს ცხარე ცრემლი სდისა,
ჩემი გულმაცოცხლებელი — წერილია საყვარლისა!

* * *

დაგინახე, შენმა სახემ მზე და მთვარე მომაგონა,
დაგეკონე, ტკბილმა ბაგემ ტკბილი ღვინო მომაგონა.

ვინ მოგიტანს გულის ბარათს მალი ჩემი რაშის დარად?
გავიფიქრე, სულის სწრაფვამ გრიგალ-ქარი მომაგონა.

გაგეცინა, — თოვლისფერმა თეთრმა კბილმა გაიელვა,
კბილმა შენმა ზღვის ალმასი, მარგალიტი მომაგონა.

გაოგნებულს ვნება მდაგავს, წამებული გულით ვცოცხლობ,
შენმა წნულმა ნაწნავებმა მწველი. ცეცხლი მომაგონა.

გავიფიქრე, ნეტარ იმას, ვინც შენს საროს მოეხვევა,
მზის შუქსხივმა უმალ შენი წელ-ქამარი მომაგონა.

ვარდმა ვაგიფს ცრემლი სთხოვა, ვარდი შევკარ დარდის კონად,
დამავიწყდი და სიზმარმა შენი თავი მომაგონა.

თარგმანი მორის ფოცხიშვილისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა



კახეთს ოდითგანვე მეხილეობის კარგი ტრადიცია ჰქონდა. იგი ახლაც ყურადღებას იპყრობს ხეხილოვან მცენარეთა კულტურების, ჯიშებისა და ფორმებისნაირსახეობით. აქაური ხილი არც სუნით, არც გემოთი და არც სხვა ღირსებით საქართველოს მეხილეობის არც ერთი რაიონის პროდუქციას არ ჩამოუვარდება, თუ არ წააჭარბებს. მისი ეკონომიური და ეკოლოგიური პირობები ამ შესაძლებლობათა უტყუარი საწინდარია.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობით 1966 წლისათვის კახეთში ხეხილის ბაღების საერთო ფართობი 11.196 ჰექტარს შეადგენდა. 4.563 ჰექტარი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ეკუთვნოდა, 6.639 ჰექტარი კი საკარმიდამო ნაკვეთებზე იყო გაფანტული ნარგავების სახით.

ამ უკანასკნელ წლებში ამ კუთხეში დიდად განვითარდა საკონსერვო მრეწველობა. მაგრამ ხეხილის ბაღების საერთო ფართობის სიმცირე, კულტურებისა და ჯიშების არასწორი შერჩევა, უმართებულო არქიტექტონიკისა და შედარებით დაბალი აგროტექნიკის გამო ვერ აკმაყოფილებს არა მარტო საკონსერვო ქარხნებს, არამედ მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებსაც.

მე ცოტა რამ გამეგება სოფლის მეურნეობისა და ეს რამდენიმე წელია თვალყურს ვადევნებ თელავის რაიონში სოფელ რუისპირის საკოლმეურნეო ხეხილის ბაღს.

1957 წლიდან დაიწყეს აქ ბაღის გაშენება და მას შემდეგ ყოველწლიურად ემატება ფართობი, ისე რომ, სადღეისოდ 80 ჰექტარს მიაღწია. ამ საქმის დამწყები იყო კოლმეურნეობის მაშინდელი თავმჯდომარე ს. ძამუკაშვილი.

მეხილეობის განვითარებას კოლმეურნენი, პირველ წლებში მაინც, რაღაც ეჭვის თვალით უყურებდნენ. თითქმის ყოველი მათგანი გაჩენის დღიდან მიჩვეული იყო ვენახსა და მის შემოსავალს, მაგრამ მერე, როდესაც ჰექტრებზე გადაიანგარიშეს ხეხილიდან მიღებული მოსავალი, ნახეს, რომ იგი ვენახისაზე ნაკლები არ იყო, და არამც თუ ნაკლები ან თანაბარი, არამედ აჭარბებდა კიდეც.

მაშინ კი შეიყვარეს კოლმეურნეებმა ხეხილი და იწყეს მისი დამუშავება. აქამდე თუ მევენახეობის ბრიგადაზე იყო დაკისრებული (ცალკე რგოლის სახით) მასზე ზრუნვა, რაც მის მოვლა-პატრონობას აფერხებდა, ახლა ეს რგოლი უკვე მეხილეობის ბრიგადად ჩამოყალიბდა ახალგაზრდული ბრიგადის ხარჯზე.

ხეხილის ბაღს თავის დროზე დიდი ამაგი დასდეს ამ კოლმეურნეობის თავკაცებმა — ვახტანგ აბელიშვილმა და ბორის თაგაურმა. ატყევებული, თითქმის ბედისანაბარად მიგდებული ხეხილი გაისხლა, მთელი ბაღი გასუფთავდა და აგროტექნიკურ ვადებში დამუშავდა. მაგრამ ამ ბაღის ბაღად ქცევაში ყველაზე დიდი წვლილი მაინც კოლმეურნეობის ახლანდელ თავმჯდომარეს შოთა ყალანდარიშვილს მიუძღვის; იგი თავიდანვე სიყვარულითა და გულისხმიერებით მოეკიდა ამ საქმეს. მისი ინიციატივა იყო მეხილეობის ცალკე ბრიგადის ჩამოყალიბებაც. ხეხილს გულმოდგინედ უვლის ბაღის ყარაული ვ. ძამუკაშვილი.

შემოდგომითა და ადრე გაზაფხულზე გასხვლა-გაფორმება, ძირების გამობარვა და საშემოდგომო ხვნა, მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ შხამქიმიკატებით წამლობა, ზაფხულში „ცისფერი შეწამვლა“, მერე შეხედავ და გულგასახარად იმზირებიან მწვანიანიდან წითელ-ყვითლად მოჭიატე ასტრახანული წითელი, ლაგოდეხის რენეტი, ზამთრის ოქროს პარმენი, კანადური რენეტი, ყვითელი ბელფლორი, შაფრანი, ქართული სინაპი, კეხურა, ზამთრის ბანანი და სხვანი და სხვანი.

ხეები დარგულია 10×10, ხოლო მათ შუა კი 12 ჰექტარამდე საუკეთესო ჯიშის ატმებია შერგული: აქ შეგხვდებათ გორული საადრეო, პიონერი, ერისთავისეული ვარდისფერი, ხიდისთაური ვარდისფერი, ხიდისთაური ყვითელი საგვიანო და ხირსული სახრავი. ივლისის ნახევრიდან რომ დაიწყება მწიფობა, ოქტომბრის ბოლომდე აღარ ილევა.

ატმებს გარდა, ხედახე, შერგულია ნაგალა ჯიშის ვაშლები. ნაგალა დიდი არ იზრდება. ნაყოფს კი 2-3 წელიწადში იძლევა და თავის ტანთან შედარებით ძალიან ბევრს ისხამს.

მე მაინც გამართლებულად არ მიმაჩნია ვაშლისა და მსხლის ბაღების ატმით შემჭიდროება. სხვა არა იყოს რა, ამ მცენარის საკმაოდ განზე გაბარჯღული ვარჯი, ცოტა თუ ბევრად, ხელს უშლის ბაღის მექანიზებული წესით დამუშავებას, აფერხებს მანქანა-იარაღების წარმადობას და მიღებული პროდუქციის თვითღირებულებას ზრდის.

ახმეტის საბჭოთა მეურნეობას ცალკე აქვს ატმის ბაღი. იგი საკმაოდ მოხერხებულია მექანიზაციისათვის და პროდუქციის თვითღირებულებაც ნაკლებია.

ვფიქრობ, ატმის ბაღი სხვა ხეების გარეშე უნდა გაშენდეს.

კახეთში მეხილეობის განვითარებისათვის ხელშესაწყობად მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის ინსტიტუტის თელავის საცდელ სადგურში 1956 წელს მეხილეობის განყოფილება შეიქმნა (დირექტორი ნ. სულხანიშვილი, მეხილეობის განყოფილების გამგე გ. ფერაძე). 1957-1962 წლებში კი კურდღელაურისა და რუისპირის ბოლოზე ექსპერიმენტული ?. ?. პომოლოგიური ბაღები გაშენდა. ორთავეში ეს ბაღები შერეულ სისტემაზეა დაფუძნებული. ჰექტარზე, საშუალოდ, 100-120 ძირისა, 400-480 ძირია დარგული, ოღონდ ძირითადი ნარგავები პანტისა და მაყალოს ძლიერი ზრდის საძირეებზეა დამყნობილი, ხოლო რიგში და რიგთაშორისებში კომშით, ატმით და ნაგალა ვაშლით არის შემჭიდროებული.

საცდელი სადგური უფრო მეტი ნაყოფიერებისათვის დიდ ყურადღებას აქცევს მეხილეობაში სრულიად ახალ მიმართულებას — პალმეტურ მეთოდს ანუ ბრტყელი ვარჯით ფორმირებას. ორივე ექსპერიმენტულ ბაზაზე ფართოდ წარმოებს უნგრული, შპალერული და იუგოსლავური პალმეტური ფორმის გამოცდა.

საცდელმა სადგურმა კახეთის ეკოლოგიური პირობების გათვალისწინების შედეგად უკვე შეარჩია მსხლის, ვაშლის, კომშის და ატმის მაღალხარისხოვანი სამრეწველო ჯიშები.

საცდელმა სადგურმა ვაშლისა და მსხლის ბაღების საუკეთესო არქიტექტონიკად შერეული სისტემა სცნო, ე. ი. ძლიერი ზრდის საძირეებზე დამყნობილი ვაშლისა და მსხლის ხეების განლაგება 10×10 მეტრი კვების არეზე, ხოლო რიგებსა და რიგთაშორისების შემჭიდროება ნაგალა ვაშლის ჯიშებით.

ბაღების ასეთი არქიტექტონიკა იმით არის კარგი, რომ ჯერ ერთი, პირველ წლებში ნარგავთა სიხშირის გამო მათ ზრდა-განვითარებისათვის უკეთესი პირობები იქმნება. მეორეც — შემამჭიდროებელი ჯიშები ადრე იძლევა ნაყოფს (2-3 წელიწადში) და სულ მოკლე დროში (4-5 წელიწადში) ფარავს ბაღის გაშენებაზე გაწეულ ხარჯებს.

ბაღების ასეთი არქიტექტონიკა პირველ 4-5 წელს ხელს არ უშლის აგრეთვე რიგთაშორის ბოსტან-ბაღჩეული კულტურების მოყვანას, რაც კიდევ დამატებით შემოსავალს იძლევა. ბოლოს, 15-20 წლის შემდეგ შემამჭიდროებელი ჯიშები ბუნებრივად გამოდიან მწყობრიდან და მთელი ფართობი ძლიერი ზრდის ხეხილს რჩება.

ჩემმა პატივცემულმა მკითხველმა ისე არ გამიგოს, თითქოს მე კახეთში ვენახებს უარვყოფდე, ანდა სავენახე ფართობების ხარჯზე მინდოდეს ხეხილის ბაღების გაშენება. კახეთი მაინც კახეთია და ვენახის დედამძუძე. მაგრამ ხილიც აუცილებელი მშვენებაა ყოველგვარი სუფრისა, მით უმეტეს, თუ ის საუკეთესო გემოსი და არომატისაა.

ლადო მრელაშვილი



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

მიხეილ ლერმონტოვი



## დემონი

ნაწყვეტი პოემიდან

ვფიცავ ამ ქვეყნად პირველ დღის ნათელს
და უკანასკნელ დღის გათენებას,
ვფიცავ ბოროტის ნაძრახსა სახელს,
ვფიცავ კეთილის მარად მშვენებას;
პირველი ცოდვის ხიმწარეს ვფიცავ
და ალმაფრენას გამარჯვებისას,
შენთან შეხვედრას, შენს ნახვას ვფიცავ,
საშიშროებას განშორებისას;
ვფიცავ ზეციდან განდევნილ სულებს, —
ჩემს ქვეშევრდომებს, ღვთისგან წყეულებს,
და ანგელოსებს, ხმალშემართულებს,
ჩემს დუშმანებად გადაქცეულებს;
ვფიცავ ჯოჯოხეთს და ვფიცავ ზეცას,
მიწის სიწმინდეს და კიდევ შენ თავს,
შენს შემოხედვას უკანასკნელსა,
შენს თვალთა ნათელს, შენს პირველ ცრემლსა;
ვფიცავ შენს სუნთქვას წრფელს და მიამიტს,
ვფიცავ დალალებს მაგ ლბილი თმისას,
ვფიცავ ტანჯვას და ვფიცავ სიამეს
და ჩემს უსაზღვრო სიყვარულს ვფიცავ,
ზურგი ვაქციე შურისძიებას,
ზურგი ვაქციე ფიქრებს გესლიანს,
განქრა, რაც შხამი და ცბიერება
ქვეყნად ოდესმე დამითესია.
ვიწამო მინდა, კვლავ ზეცა წმინდა,
მინდა მიყვარდეს, ვილოცო მინდა,
მსურს დავიბრუნო რწმენა კეთილის
და ამ ჩემს შუბლზე ამოკვეთილი
დაღი ზეციურ ცეცხლის და რისხვის
ჩამოვირეცხო ცრემლის ღვარებით
და ისევ ზეცის შევიქმნა ღირსი
მონანიებით და მდუღარებით;
რომ ქვეყანამაც იხაროს ამით,
უდრტვინველობის დაუდგეს ჟამი.
მე შეგიცანი, მხოლოდ მე, თამარ,
შეგიცანი და გიწამე ღმერთად,
ავიყრი ყველა ძალაუფლებას
და მორჩილებით დავიფენ ფერხთა.
მე შენს სიყვარულს წყალობად ველი,
მარადისობას გთავაზობ წამად,
ვარ სიყვარულშიც შეუდრეკელი,
ვით სიძულვილში ვიყავი, თამარ!
ფრენით აგიყვან ზეცის კარამდის,
დედოფლად დაგსვამ ვარსკვლავთა ზემოთ,
და შენ იქნები აწ და მარადის
ქვეყნის მეუფე, ღვთაებავ ჩემო!

რუსულიდან თარგმნა თამარ ერისთავმა.

პაველ ვასილიევი

## ხუთი

ნაცნობ გოგონას ვეწვიე ერთხელ,
ვამცნე: — კარგია ეს ყოველივე.
შენ ერთადერთი მიყვარხარ მხოლოდ.
სისულელეა — სხვა დანარჩენი.

მან მიპასუხა უბრალოდ: — არა.
მე ერთად მიყვარს სამი ყმაწვილი,
და შემიძლია შენც შეგიყვარო,
თუ დასჯერდები მეოთხე ადგილს.

არ დავაყოვნე წამითაც: — კარგი,
მე გაპატიებ სამივეს ერთად
და გაპატიებ თხუთმეტსაც კიდევ,
თუკი ვიქნები შენთვის პირველი.

მან გაიცინა მაშინვე: — არა.
მეტად ხარბია შენი თვალები.
ჯერ შეეჩვიე, კეთილო ჩემო,
ჩემს ნაკვალევზე ძაღლივით სირბილს.

დასტური მივეც გოგონას: — კარგი,
მე თანახმა ვარ, რომ გავხდე ძაღლი,
ოღონდ მიბოძე ნება, მახავით
მიყვარდე მუდამ და გიერთგულო.

ზურგი მაქცია გოგონამ: — არა.
შენ, მეგობარო, ჩქარობ ძალიან,
ჯერ გამწარებით შემყმუვლე მთვარეს
რომ ამით ცოტა მასიამოვნო!

— მიზეზიანო, მაშ იყოს ასე! —
ვთქვი და გავშორდი თვალცრემლიანი.
ჯერ ორიოდე გოგო მიყვარდა
და ამის შემდეგ, მგონი, თხუთმეტიც.



ბოლოს მოვიდა ის გოგო ჩემთან,
მითხრა: — კარგია ეს ყოველივე.
შენ ერთადერთი მიყვარხარ მხოლოდ,
სისულელეა — სხვა დანარჩენი...

დავღონდი მაშინ და გავიფიქრე:
არა, არასდროს არ უნდა მოხდეს,
რომ ააყვიროს სული ძაღლივით
სიტყვამ საწყენმა და ეკლიანმა.

ვალენტინ ბერესტოვი

## სხვა

შეალერსები, მეხვევი თუ მებუზღუნები,
მიხმობ, ნაცნობებს დავემსგავსო მშვიდი ბუნებით,
სულ უფრო ხშირად მესმის შენგან მწარე ჩივილი
„განა შენსავით სხვასაც სტკივა სხვათა ტკივილი?“
სხვა..., სხვისი.., სხვამან... ო, მაკმარე ხოტბა და
შესხმა!
ყველაზე უფრო საშიშია, კეთილო, ეგ „სხვა“.

## ძაღლები

— ეს დალოცვილი რა ნაზი და რა ერთგულია! —
ამბობენ მასზე და გარშემო კრძალვით უვლიან.
ვინ გაოცებით ამბობს ამას, ვინ აღტაცებით,
ვინ დაცინვით და ეჭვიანად... ო, ეს კაცები!
თითქოს მარადი ერთგულება — გრძნობა პირველი,
რაღაც მანკია ან გმირობა გასაკვირველი.

რუსულიდან თარგმნა ხუტა ბერულავამ.

# ვახუშტის სახლ-კარი მოსკოვში



XVII—XVIII საუკუნეების მანძილზე, როდესაც საქართველოს კვლავ ესეოდნენ უცხოელი დამპყრობელნი და ქართველი კაცი ხშირად იძულებული იყო სამშობლოს გარეთ ეძებნა თავშესაფარი, აი, ასეთ ვითარებაში, შორს ჩრდილოეთში იქმნებოდა ახალი ქართული პოლიტიკური და კულტურული კერები. უკვე XVII საუკუნის მეორე ნახევარში იწყება მოსკოვში ქართული კოლონიის ჩამოყალიბება; ხოლო 1725 წლის შემდეგ, მეფე ვახტანგ VI-ის პეტერბურგში ჩასვლის დროიდან, ისახება ქართული კოლონია პეტერბურგში; მრავალრიცხოვანი ქართული კოლონიები შეიქმნა ყიზლარში (1785 წლიდან), მოზდოკში (1768 წლიდან) და სხვ. ამ კოლონიებისაკენ ისწრაფოდა ყველა, ვისაც სამოქმედო ასპარეზი დაეხშო სამშობლოში.

XVIII საუკუნეში ქართველი ერის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მოსკოვის ქართველთა კოლონია. მიუხედავად ტერიტორიული დაშორებისა, ის მჭიდრო ურთიერთობაში იყო იმ დროის საქართველოს სინამდვილესთან, მრავალი ძაფებით იყო დაკავშირებული დედა-სამშობლოსთან.

ამ რამდენიმე ხნის წინ მოსკოვის ერთ-ერთ არქივში ჩვენ ვნახეთ 1766 წლით დათარიღებული ნახაზი. ნახაზს სათაურად წარწერილი აქვს, რომ ეს არის გეომეტრიული გეგმა, რომელზეც ნაჩვენებია ქართველ უფლისწულთა — იმჟამად უკვე განსვენებული ბაქარ ვახტანგის-ძის, აგრეთვე გიორგი ვახტანგის-ძის, ქართველ თავადთა, აზნაურთა და მდაბიო წოდების მოქალაქეთა სამყოფელი და რომ ეს გეგმა შესრულებულია 1766 წლის 21 ივლისს. ეს ნახაზი შესრულებულია მოყვითალო ფერის, სქელი ქაღალდის ერთიან ფურცელზე; შუა ნაწილში ქაღალდი ამოგლეჯილია და დაკარგულია. ამის გამო რამდენიმე ადგილას დაზიანებულია მასზე წარწერილი ტექსტები.

კარგად არის ცნობილი, რომ იმ მიწაზე, რომელიც ებოძა მეფე ვახტანგ VI-ის მემკვიდრეებს — ბაქარს და გიორგის და მათ ამალაში მყოფ პირთ, XVIII საუკუნეში გაშენდა ე. წ. „გრუზინსკაია სლობოდა". ხსენებული ნახაზი სწორედ ამ სლობოდის გეგმაა, იგი წარმოგვიდგენს ამ დროისთვის პრესნის ქართული კოლონიის განაშენიანებას და კერძო პირთა საკუთრებაში მყოფ ნაკვეთების ზომებს.

ნახაზის მარცხნივ ჩამოწერილია 119 მიწის ნაკვეთი, მათი პატრონების პიროვნებათა დასახელებით და ნაკვეთების ფართობების ზომების ჩვენებით. ნახაზის ცენტრში გამოხაზულია ყველა ეს 119 მიწის ნაკვეთი, მათზე გამავალი გზები, ქუჩები; აქვე აღნიშნულია მდ. პრესნა, მდ. კაბანიხა და პრესნას გუბურა.

ამით ვიგებთ ჩვენ მთელი სლობოდის მდებარეობას, მის შემადგენლობას და ცალკეული ნაკვეთების განლაგებას.

თუმცა ნახაზი ნაკლოვანია და ტექსტის ნაწილობრივ დაზიანებასთან ერთად ნახაზს აკლია 82 ნაკვეთის გეგმა, მაინც ნათლად ჩანს, რომ ქართული „სლობოდის" მთავარი ნაწილი — ნაკვეთები №№ 1—72 განლაგებული იყო მდ. კაბანიხას და მდ. პრესნას შორის (XX საუკუნის დასაწყისის ნომენკლატურით „კაბანიხინსკი პერეულოკ" და „ნოვოპრესნენსკი პერეულოკ"-ს შორის), ხოლო „სლობოდის" დანარჩენი ნაკვეთები №№ 73—119, იყვნენ მდ. პრესნას მარჯვენა ნაპირის, „სტოლბოვაია ვოსკრესენსკაია დოროგა"-ს და სინოდალური უწყების ავარაკიდან გამოყოფილი საბალახე მიწის შორის მოყოლებულ ფართობზე.

119 დასახელებიდან ორი ეკლესიაა — ერთი ქართული და ერთი სომხური. დანარჩენი საკარმიდამო და საბალახე ნაკვეთებია. ამათგან 85—90-ის პატრონებია ქართველები, ხოლო დანარჩენების — რუსები და სომხები. მათ რიცხვში მრავალი ქალია. ჩამოთვლილ პატრონებს შორის გვხვდება მთელ რიგ ისტორიულ პირთა სახელი. ასე, მაგალითად, აქ დასახელებულნი არიან ვახტანგ VI-ის მემკვიდრეები — ბატონიშვილები ბაქარი. გიორგი, ვახუშტი, ათანასე ლევანის ძე (ეჭირა მოსკოვის ობერ-კომენდანტის თანამდებობა), ე. ამილახვარი (84), დიმიტრი სააკაძე (21), დიმიტრი ციციშვილი (68), დავით ფანჩულიძე (82), რატიშვილი (88) და სხვ. მათ შორის ჩვენი ყურადღება მიიპყრო პირველ რიგში — განთქმული ქართველი ისტორიკოსის, გეოგრაფოსის და კარტოგრაფის — ვახუშტი ბაგრატიონის სახელმა.

ვახუშტი XVIII საუკუნის ქართული კულტურის მოღვაწეთა პლეადის ბრწყინვალე წარმომადგენელია. მოსკოვში იგი ნაყოფიერად იღწვოდა მეცნიერების სარბიელზე, ახლო ურთიერთობაში იყო რუსულ სამეცნიერო წრეებთან და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა.

ვახუშტის სახელი გვხვდება სიაში ოთხჯერ: 4, 8, 37 და 93 რიგით ნომრების ქვეშ. ოთხივე შემთხვევაში წერია ასე:

Двор его светлости грузинского царевича Вахушти Вахтанговича.

ნახაზიდან ჩანს, რომ ვახუშტის სახლკარი (37) „სლობოდის" ცენტრში ყოფილა. აქვე არის ე. ამილახვარის (34), მღვდელმთავრის ფილიმონეს (35), მეფის ასულის ანას (36), ბაქარ ბატონიშვილის ქვრივის (39) ნაკვეთები და ქართული ეკლესია (38); ხოლო გზის მეორე მხარეზეა სომხური ეკლესია (58), ი. ანდრონიკაშვილის (62), დ. ციციშვილის (68) და სხვა ნაკვეთები.

ამ ნახაზის შედგენის დროიდან განვლო 200 წელმა. ამ დროის მანძილზე მოსკოვის უბნებმა მრავალგზისი რეკონსტრუქციები განიცადეს. არც ქართული „სლობოდა" დარჩენილა უცვლელად. აქაც არა ერთხელ შეიცვალა ქუჩები, შუკები, შენობები.

ქართული „სლობოდის" ცენტრში — ბაქარ და ვახუშტი ბატონიშვილების სახლკარის ფართობი ამ უბნის დღევანდელი განაშენიანების მიხედვით სავარაუდებელია „გრუზინსკაია პლოშჩად"-ის მიდამოში. რამდენადაც ვახუშტის ნაკვეთის გვერდით მდგარა წმ. გიორგის ეკლესია (ნახაზი შესრულებულია მასშტაბში და ნახაზი შეიცავს ტოპოგრაფიულ ორიენტირებს), ამდენად სავსებით შესაძლებელი ხდება თანამედროვე მოსკოვში იმ ადგილის ზუსტად განსაზღვრა, სადაც იყო ვახუშტი ბაგრატიონის სახლკარი.

პრინციპულად სავსებით გამართლებულად მიგვაჩნია, რომ მოსკოვის ქალაქის საბჭოს მოხსენდეს ამის შესახებ და სათანადო ადგილას გაიხსნას მემორიალური დაფა ვახუშტი ბაგრატიონის სახელზე. კარგი იქნება, რომ ამას ითავებდეს საქართველოს რომელიმე კულტურული საზოგადოება ან ინსტიტუტი.

წარმოდგენილი ნახაზი საგულისხმო აუტენტური მოწმობაა მოსკოვის ქართული „სლობოდის" (გვიანდელი „გრუზინი"-ს) მდგომარეობაზე 1766 წელს. მას საერთოდ მნიშვნელობა აქვს მოსკოვის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, კოლონიის პირადი შემადგენლობის საკითხების გასარკვევად; მნიშვნელოვანია ის ქალაქ მოსკოვის ამ რაიონის დასახლების ისტორიისათვისაც.

რასაკვირველია, მოსკოვის ქართული მოსახლეობა მხოლოდ ამ „სლობოდით" არ განისაზღვრებოდა. ქართველობა სახლობდა ქალაქის სხვა უბნებსა და ქუჩებზე და გარეუბნებშიც. კერძოდ, მეფე ვახტანგ VI-ის ძე გიორგი, რომელიც ამ დროს კიდევ ცოცხალი ჩანს, ფლობდა სამეფო სასახლეს სოფ. ვსესვიატსკოეში. მაგრამ ქართული „სლობოდა" პრესნაზე წარმოადგენდა მოსკოვის გარეუბნებში ქართველების მთავარ ბუდეს. მასთან, ეს ტერიტორია პირველად სწორედ ქართველობამ გააშენა და დაასახლა. ამით უნდა აიხსნებოდეს, ალბათ, რომ მხოლოდ ამ „სლობოდის" ტერიტორიას შერჩა ჩვენ დრომდე ადგილების სახელწოდებებში ქართველობის კვალი, აქ არის ქუჩები: გრუზინსკი ვალ, ბოლშაია გრუზინსკაია, მალაია გრუზინსკაია, გრუზინსკი პერეულოკ, გრუზინსკაია პლოშჩად და მთელი უბნის საერთო სახელწოდება „გრუზინი".

ეს დღეს კიდევ აცხოველებს ჩვენს ხსოვნას ოდესღაც აქ ქართული კოლონიის არსებობისა; მოგვაგონებს, თუ რაოდენი სასოებით ისწრაფოდნენ ქართველები მოსკოვისაკენ, სადაც ნაყოფიერ კულტურულ მოღვაწეობას ეწეოდნენ.

ვ. გამრეკელი,
ისტორიის მეცნ. კანდიდატი.

# დაკეტილი ყანწი



იუმორისტული მოთხრობა

## თენგიზ გოგოლაძე

ნათქვამია, საქმემან შენმან გამოგაჩინოსო. ალბათ კარგი თამადობაც საქმეა, რომ ბეჟან ბოჭორიშვილს თითქმის მთელი თბილისი იცნობდა. თანამდებობის კაცი იყო, საქმეს კარგად უძღვებოდა, მაგრამ ბევრმა მისმა ნათესავმა, მეგობარმა და ნაცნობმა არც კი იცოდა რას აკეთებდა იგი; სამაგიეროდ იცნობდნენ, როგორც მომხიბვლელ თამადას. ამიტომ ქორწილს, ძეობას, დაბადების დღეს, ნიშნობასა თუ ქელეხს თავისი ორმოცითა და წლისთავით ბეჟანის გარეშე ვერ იხდიდნენ.

ერთხელ შვეციიდან ჟურნალისტები ეწვივნენ საქართველოს — შვიდი რედაქტორი ერთად ჩამოვიდა. მათ პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე ბეჟანი შემთხვევით მოხვდა, მაგრამ თამადად კი ერთხმად აირჩიეს. სუფრაზე უმეტესობა უცნობი იყო; გამოცდილი თამადისათვის ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

სტუმრები, სანამ ფხიზელნი იყვნენ, გაოცებულნი შეჰყურებდნენ თამადას, სიტყვაკაზმულ დევკაცს.

ბეჟანმა შეატყო შვედებს, რომ ისინი ღვინის სმის ეშხზე იყვნენ. ერთ მათგანს ჭიქა ეპატარავებოდა. სხვა რომ ერთს გამოსცლიდა, ის ორმაგად მიირთმევდა. სად არის ერთი ჩემი ყანწიო, ინატრა ბეჟანმა და გუნებაშივე გაივლო, მაშ, რახან აგრეა, ვნახოთო. ეს უკვე მუქარა იყო სტუმრების მიმართ და ბეჟანმა დიდრონი სასმისები მოითხოვა.

სტუმრები უნახავებივით დაეხარბნენ ღვინოს. სადღეგრძელოებს არც კი ამბობდნენ. თავს დააკანტურებდნენ, თავის ენაზე რაღაცას ჩაილუღლუღებდნენ და ჰაიდა, წამში გამომშრალი იყო მათი სასმისები.

თარჯიმანი უფალმა მიიბარა და მაგიდის კუთხეში ღრმა ძილით ეძინა.

ბეჟანი მაგრად იდგა და ღვინომოწყურებულ სტუმრებს თავის ენაზე ლოცავდა. ისინი ენდობოდნენ, რომ ცუდს არას იტყოდა და უკვე თვალებამღვრეულები და ყბამოქცეულები მადლობას თავის დაკვრით უხდიდნენ. ღვინოს კვლავ მოწყურებულნი ეწაფებოდნენ.

ბეჟანმა ველარ მოითმინა და გვერდში მჯდომ ჩვენებურ კაცს ჰკითხა:

— ასე რამ გააგიჟათ?

— მაგათში მშრალი კანონია შემოღებული და მაგარ სასმელებზე დახარბებულები არიან. შვეციაში წვეთს არავის არ ასმევენ.

— დამშრალან, უბედურები! — შეეცოდა ბეჟანს და სადღეგრძელოს უმალ სადღეგრძელო მიაყოლა, რომ „დაგვალულ-დამშრალი“ სტუმრები გვარიანად „დაელბო“.

* * *

ბეჟანმა გემრიელი და ღრმა ძილი იცოდა. სიზმარს იშვიათად ხედავდა. მაგრამ ბანკეტიდან წამოსვლის შემდეგ, როცა შინ გაიშოტა, ისეთი რამ ესზმანა, მთელი თავისი სიცოცხლე არ დაავიწყდებოდა.

ვითომ ერთმა ნათესავმა ქორწილში თამადად მიიწვია.

— ჩემი თავი მოგიკვდეთ, თამადობას როგორ დაგზარდებითო! — სიამოვნებით მოემზადა საქორწილოდ და მალე სუფრას ჩაუდგა სათავეში. ორი ყანწი მოიმარჯვა. ეთბილა ყანწში ჩასხმული სითხე, ფერიც არ მოეწონა. არაფერი შეიმჩნია. შუბლი განგებ არ შეკრა, ნეფე-დედოფალი ჰყავდა დასალოცი. ჩვეული სიდინჯით, ხატოვნად თქვა თავისი სათქმელი.

ჯერ ერთი ყანწი მოიყუდა. გემოც ეოცა: დამტკბარ ჩაის ჰგავდა, მაგრამ ნაცადმა თამადამ ყანწი მაინც არ მოიცილა, სანამ მთლიანად არ გამოსცალა. მასპინძელს არ აგრძნობინა, ამას რას მასმევო. მეორე ყანწიც რომ გამოამშრალა, მაშინ კი, ველარ მოითმინა და ოჯახის თავკაცს უსიტყვოდ მიაჩერდა.

— ჩაია, ბატონო ბეჟან, ჩაი! — დაიწუწუნა მასპინძელმა.

— მერედა, შე დალოცვილო, ქორწილი, ყანწი და ჩაი, საიდან სადაო?!

— ორშაბათიდან ჩვენშიც ხო მშრალი კანონი შემოიღეს, ბატონო ბეჟან! არ მოგისმენიათ? რადიოთი გამოაცხადეს.

— მშრალი კანონი?!

აუ, ეს რა მომხდარა! როგორ გამორჩა ბეჟანს! აკი ჩაით ამიტომაც იმდუღრავს პირს განთქმული მსმელი მელიტონ მორჩილაძე. შეხედე ერთი, შაქარს როგორ კვნეტს, როგორ ნეტარებით ნაბავს თვალებს! ნუთუ ასე მალე შეეგუა ულვინობას? ახსოვს ბეჟანს, მელიტონი მის ვეება ყანწს სულის ერთი მოთქმით რომ ცლიდა და სიფხიზლეს არა ჰკარგავდა. იმ ყანწის შემდეგ ზედიზედ დაუცლია ჯამფილები და ჯამები, ჭინჭილები და თასები, სახილე და სამურაბე ვაზები. ლამფის შუშითაც კი დაულევია ღვინო. მერე ხელები გაუშლია და ცეკვით ჩამოუვლია. კარგი მომლხენი იყო. ახლა კი, ასწევს მდუღარე ჩაით სავსე ჭიქას, დალოცავს დასალოცს, მერე შაქარს მოჰკვნეტს და ზედ ორიოდე ყლუპ ჩაის მიაყოლებს.

ეს რა მოხდა!

საოცარი ის არის, რომ ბეჟანის გარდა არავის აკვირვებს მშრალი კანონი. სად წავიდა იმდენი ღვინო, ან სად წავა წლევანდელი მოსავალი? რას აკეთებენ მარნებში და ღვინის ქარხნებში? ვინ დადის რესტორნებში?

ბეჟანი უცებ ღვინის ქარხანასთან მოხვდა, უნივერსიტეტის მახლობლად, პეტრიაშვილის ქუჩაზე. ძველი წარწერის ადგილზე ახალი გაუკრავთ:

„ღვინოებისა და საქართველოში განთქმული თამადების სახელმწიფო მუზეუმი“.

შედის ბეჟანი მუზეუმში. მარჯვნივ ერთი შენობის კარს აწერია:

„განთქმულ თამადათა სადღეგრძელოების სტენოგრამები და ჩანაწერები“.

მარცხნივ შენობაში ღვინოების უმდიდრესი კოლექცია ინახება.

— ექსკურსიამძღოლი თუ გნებავთ? — სთავაზობენ ბეჟანს.

— არა, გეთაყვათ, მე ამ საქმის პროფესორი ვარ.

— ბოდიში, ლამის ვერ გიცანით, პატივცემულო ბეჟან! ჩვენს მუზეუმში თქვენი სადღეგრძელოების სამტომეული გვაქვს, თქვენი დიდი სურათიც გამოვფინეთ. აი, წამობრძანდით...

გრძელი დარბაზი სავსეა განთქმული თამადების სურათებით. მოჩანან ჩაკუჩატებული პურისმჭამელნი, პირის-გემოს პატრონები, ლოყებღაჟღაჟანი... ზოგი თვალებგადმოკარკლულია ზედმეტი სმისაგან, ზოგს დამშვიდებული გამომეტყველება აქვს, ზოგს ეტყობა სუფრაზე ძალზე ჭინჭყლი უნდა ყოფილიყო, ზოგს კი სიდინჯე ემჩნეოდა... და აი, ეს უზარმაზარი გალერეა ბეჟანის სურათით თავდებოდა.

„საქართველოს უკანასკნელი განთქმული თამადა!“ — ასე ეწერა სურათს ქვემოთ.

ახლა, როგორ ყდაში ჩაუსვამთ მისი სადღეგრძელოების სამტომეული! იცის ბეჟანმა, რომ ეს მხოლოდ რჩეულია.

ბეჟანი ქუჩაშია. უამრავი ხალხი ირევა. ყველა სწორი, გამართული ნაბიჯებით მიდი-მოდის. სად ნახავ ან მილიციელს, ან ავტოინსპექტორს! ან რაღა საქმე აქვთ მათ. ღვინოს და არაყს არც ერთი შოფერი არ დალევს და წესრიგსაც ვინ დაარღვევს! რესტორანში ბავშვიანი ქალები, დედაბრები და მოხუცები შედიან სასადილოდ.

ბეჟანს აქოშინებული ნაცნობი ეგებება:

— შენი ჭირიმე, მთელი ქალაქი შემოვირბინე, ძლივს გიპოვნე. ძეობაში უნდა დამიმშვენო სუფრა. „მეშველა, იქ მაინც იქნება ღვინო“!

— აბა, ჰე, წავედით! — მხრები გაშალა ბეჟანმა. მაგრამ, როცა ყანწი ლიმონათით შეუვსეს, მოიღრუბლა.

და საოცარი ის იყო, რომ რომელიღაც ნაცნობმა იმავე დღეს ქელეხშიც წაიყვანა თამადად. იქ რაღა ღმერთი გაუწყრებათ, ულვინოდ ხომ არ წაასვენებენო, მოცოცხლდა მკვდრის გასაპატიოსნებლად ქელეხში მისული ბეჟანი.

თურმე იმ ცხონებულს ანდერძად დაეტოვებინა, ლიმონათით და ჩაით კი არა, ასკილის ნახარშით გამასვენეთო. და ბეჟანსაც ასკილის ნახარშით შეუვსეს სასმისი.

ვაი ბეჟანს!

მერე რას ხედავს: ერთ დიდ ხეობას მიადგა. საოცარი სურათი დახვდა. ხეობა მთლიანად ამოეყორათ ქვევრებით, კასრებით, ხელადებით, ორშიმოებით, საწნახელებით, ყანწებით, ღვინის ჭიქებით, ჭინჭილებით, ჯამებით, ჯამფილებით... ღმერთო დიდებულო, ბეჟანის ვეება ყანწიც რომ აქვე მიუგდიათ! უნდა, რომ მისწვდეს, უახლოვდება, მაგრამ ხელის წავლება კი აღარ ძალუძს. იქვე მუშები დგანან და ხეობას მიწით ავსებენ.

და უცებ უფრო საზარელი სურათი დაინახა: ქვეყნის ლოთებს, ყველას, უკლებლივ, ამ ხეობაში ჩამოუხრჩვიათ თავი.

რაღაცამ ყელში წაუჭირა ბეჟანს. სული შეეხუთა და გულგახეთქილს გაეღვიძა. გული გამალებით უცემდა. როდის-როდის დამშვიდდა და კედელზე ჩამოკიდებულ თავის ყანწს ნეტარებით შეხედა.

იმ დღეს კიდევ ელოდა ქეიფი შვედელ სტუმრებთან. ქეიფი უთუოდ უნდა გაგრძელებულიყო. ჩამოიღო ყანწი, გულდაგულ შეახვია და ბანკეტზე მიიტანა. როცა ყანწი გააშიშვლა, სტუმრებს გახედა. მათ თვალები აუციმციმდათ, აღტაცება ვერ დამალეს და ტაში შემოჰკრეს.

— მეცოდებიან ეს უბედურები! — თქვა ბეჟანმა. — ქორწილი ჩაით, ძეობა ლიმონათით და ქელეხი ასკილის ნახარშით გაგონილა?!

ვეება ყანწი ჯერ თვითონ გამოსცალა, მერე შეავსო და გაპილპილებული, თოთო ბავშვივით ფრთხილად გადააწოდა „დამშრალ-დაგვალულ“ სტუმარს, რომ მაგრად „დამბალიყო“ და სამუდამოდ დამახსოვრებოდა.

# დემნა შენგელაიას თხზულებანი

მწერლისათვის თავის თხზულებათა კრებულის გამოცემა ტომებად — დიდი გამოცდაა; ეს არის გადახედვა განვლილი გზისა, ერთად თავმოყრა ყველაფერი კარგისა და საუკეთესოსი, რაც მის კალამს შეუქმნია, რითაც მას მშობლიური ლიტერატურის საუნჯე გაუმდიდრებია.

„საბჭოთა საქართველომ“ დაიწყო დემნა შენგელაიას თხზულებათა ოთხტომეულის გამოცემა. მკითხველმა უკვე მიიღო პირველი ტომი, რომელშიაც შესულია ორი რომანი — „სანავარდო“ და „ბათა ქექია“.

არც პირველ და არც მეორე რომანს მკითხველის წინაშე ფართო რეკომენდაცია არ სჭირდება; ისინი უკვე დიდი ხანია იქცნენ ჩვენი მკითხველისათვის საყვარელ წიგნებად.

და მაინც საჭიროდ მიგვაჩნია ვთქვათ ორიოდე სიტყვა: საბჭოთა ეპოქის ქართულ პროზას თითქმის ნახევარი საუკუნის ისტორია აქვს. ამ ხნის მანძილზე არა ერთი კარგი რომანი დაიწერა, რომელთაც დიდად აამაღლეს ჩვენი ლიტერატურის დონე; და აი, მთელ ამ ნაწარმოებთა შორის „სანავარდო“ იყო ქრონოლოგიურად პირველი რომანი, რომლითაც დაიწყო ქართული საბჭოთა პროზის ისტორია.

ეს იყო რომანი, რომელიც ყველაზე პირველად გამოიტანა მკითხველის წინაშე სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ახლად დაარსებულმა ჟურნალმა „მნათობმა“.

ეს არის რომანი დიდ ეპოქალურ გარდატეხაზე საქართველოს ცხოვრებაში, როცა ერთ ისტორიულ ეპოქას მეორე სცვლიდა, როცა ძველის ნაცვლად მკვიდრდებოდა ახალი.

ამ გარდატეხისა და განახლების სულითაა გამსჭვალული მთელი ეს წიგნი. აქ ეპოქათა დიდი ტრადიცია ჩანს, ხალხის სულის ღრმა ცოდნაც, ხასიათების გამოკვეთის მაღალი ოსტატობაც, და ყოველივე ეს ანიჭებს ამ ნაწარმოებს მუდმივ სიცოცხლეს, ყოველი ახალი, მომდევნო თაობის თვალში ეს ახალი წიგნი იქნება.

ათეულმა წლებმა გაიარეს „სანავარდოს“ გამოქვეყნებიდან, და უნდა აღინიშნოს, რომ მან კარგად გაუძლო დროის გამოცდას. და ახლა ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ საბჭოთა პროზას დასაწყისიც ისევე საინტერესო ჰქონდა, როგორც მთელი შემდგომი ისტორია.

პირველსავე ტომშია შეტანილი „ბათა ქექია“ — ამბავი ჯანმაგარ და სულიერად მუდამ გაუტეხელ ქართველ გლეხკაცზე, რომლის ხასიათი მწერლის ფანტაზიამ დიდ განზოგადებამდე აიყვანა. ბათა ეკუთვნის მხატვრული ლიტერატურის იმ სახეებს, რომლებიც მთელი სისრულით გამოხატავენ თავიანთი ხალხის მორალურ სამყაროს, მის სიცოცხლისმოყვარეობას, მის დაულეველ სულიერ და ფიზიკურ ენერგიას.

ბათასთან შეხვედრა მკითხველისათვის მუდამ სასიხარულო იქნება, ყოველ შემთხვევაში, მკითხველი არასოდეს არ მოიწყენს — და ეს გადამწყვეტი პირობაა, უმთავრესი საწინდარია იმისათვის, რომ მხატვრულმა ნაწარმოებმა გაიმარჯვოს.

თავის გმირთა შორის დემნა შენგელაიას ყველაზე მეტად ბათა ქექია უყვარს. ამიტომაც ამ გამოცემაში რომანისათვის ბოლოსიტყვა დაურთავს და ბათასთვის უსურვებია: „დაე, იცოცხლოს კიდევ რამდენიც უნდა, იცოცხლოს და უხაროდეს თავისი ქვეყნის მომავალი“.

დაე, ასე იყოს, დაუდასტურებს მას ჩვენი მკითხველი, რომელიც კიდევ ერთხელ გაიხარებს ბათასთან — ამ ბრძენ და მუდამ მხიარულ, მუდამ მოუწყინარ და ეშმაკ ბერიკაცთან შეხვედრით.

ლ. აბულაძე

# სახალხო განათლების მოღვაწენი

„სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“ — ასე ეწოდება იმ კრებულს, რომელიც წელს გამოსცა „განათლებამ“. ეს დიდად საინტერესო და ძვირფასი წიგნია; იგი მოგვითხრობს სწავლა-განათლების ისტორიაზე ჩვენში, და ამასთან, აქ ბევრი რამ არის ისეთი, რაც მუდამ საგულისხმო და სახელმძღვანელო პრინციპი იქნება ყოველი აღმზრდელისა და მასწავლებლისათვის.

„საკმაო არ არის, — წერდა ილია ჭავჭავაძე, — რომ კაცი მეცნიერი იყოს, დიდი სწავლა მიეღოს, ბევრი ცოდნა შეეძინოს. ამასთანავე, იგი კაი კაციც უნდა იყოს და კაი-კაცობის შემძლებლობაც ჰქონდეს. ეს კაი-კაცობა და კაი-კაცობის შემძლებლობაც მარტო ზნე-ხასიათისაგან ეძლევა ადამიანს. ავი კაცი რამოდენადაც მეცნიერია და დიდად სწავლული, იმოდენად უფრო ძლიერ საშიშარია, უფრო დიდად მავნებელია... ჩვენ უნდა აღვზარდოთ სამშობლოსა და მშრომელების სიყვარულით აღსავსე, ზნეობრივად სპეტაკი ადამიანი, ეს ევალება ოსტატს, მასწავლებელს“. „გულთბილი საქციელი ოსტატისა,— განაგრძობდა ილია, — უფრო ძლიერ მოქმედობს ბავშვის გაადამიანებაზე, ვიდრე სამისა თუ ოთხის წლის ზეპირობა გრამატიკისა, თუ სხვა რისამე ამისთანასი“.

ზემოხსენებული კრებული იხსნება გიორგი წერეთლის პედაგოგიურ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის დახასიათებით. ნარკვევის ავტორი ანდრო ჭილაია სამართლიანად აღნიშნავს, რომ გიორგი წერეთელი ისეთივე ინტერესით ეკიდებოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, როგორც მხატვრულ შემოქმედებას. გ. წერეთელი წლების მანძილზე ილვწოდა თბილისის გიმნაზიაში, სადაც ქართულ ენას ასწავლიდა. თავის მოწაფეებს ის ზრდიდა სამშობლოს მგზნებარე პატრიოტებად. „ჭეშმარიტი განათლება, — წერდა გიორგი წერეთელი, — მდგომარეობს ადამიანის ბუნების სრულ წარმატებაში და გახსნაში, იმან უნდა იმოქმედოს როგორც სულზე, ისე სხეულზე. თუ ერთი რომელიმე მხარე დავიწყებულია, მაშინ ვერ ვიტყვით, რომ კაცი სრულად განვითარებული იყოს“.

კრებულში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს პროფ. დ. გვრიტიშვილის წერილი ივანე ჯავახიშვილზე. ავტორი ლაპარაკობს იმ განუზომელ ღვაწლზე, რომელიც დიდ ქართველ ისტორიკოსს მიუძღვის ქართული კულტურის, მთელი ქართველი ხალხის წინაშე. მის სახელთან დაკავშირებულია ჩვენი უნივერსიტეტის მთელი ისტორია. ამ დიდი ეროვნული საქმისათვის ზრუნვა მან ახალგაზრდობის წლებიდანვე დაიწყო. ამ დროიდან მისი ფიქრი, შრომა, მისი ყოველი ნაბიჯი მიმართული იყო ამ ისტორიული მიზნის განხორციელებისაკენ. ეს კი ადვილი როდი იყო. თვითმპყრობელობის სუსხიანი რეჟიმი ცდილობდა საფუძველშივე ჩაეხშო თავისუფალი აზრის ყოველი გამოვლენა. ქართული უნივერსიტეტის დაარსების იდეასაც აუარებელი მტერი ჰყავდა; მაგრამ ივანე ჯავახიშვილი არავის და არაფერს არ შეუშინდა, ის მტკიცედ მისდევდა არჩეულ გზას. თვითმპყრობელური რეჟიმის დამხობისა და რევოლუციის გამარჯვების შემდეგ შესაძლებელი გახდა გახსნილიყო ეს დიდი კერა ქართული მეცნიერებისა და კულტურისა.

ნარკვევის ავტორს მოჰყავს ცნობილი ისტორიკოსის მოსე ჯანაშვილის სიტყვები, სადაც დახასიათებულია ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი: „ივ. ჯავახიშვილმა იკისრა ყველაზე დიდი ტვირთი — გუთნისდედობა, თვით ქართულ მძიმე ღრმადმხვნელი გუთნისა... ჯავახიშვილის მხნეობამ ყოველივე დაბრკოლება დასძლია და ახალი ლამპარი აგვინთო. ქართული გიმნაზიის შენობა გვიქცია ეროვნული დიდების ტაძრად, მისი პირველი უნივერსიტეტის სავანედ“. მოსე ჯანაშვილი განაგრძობდა: „მივიდეთ ვაკეზე, იქ ჯავახიშვილმა აგვინთო სხივოსანი მზიანი კანდელი, რომელიც ამიერიდან შუქურ ვარსკვლავივით გაგვინათებს გზა-კვალს სვლად გმირულ და მზიან ნაბიჯით წინ, წინ ადამიანურ მარადისობისაკენ. ამასთანავე მოვიგონოთ იქ ჩვენი ძველი მეცნიერები საუკუნო ხსენებით, ხოლო კანდელის ამთებელ გმირს ივანეს ერთობლივ და გულმხურვალედ შემოვძახოთ ჩვენებური ქართველური ვაშა! გამარჯვება მარად და მარად!“

მოსე ჯანაშვილმა ამ სიტყვებით გამოხატა მთელი ჩვენი ხალხის ფიქრი და გრძნობა, მისი ულრმესი სიყვარული დიდი ისტორიკოსისა და მეცნიერისადმი.

კრებულში შემდეგ გამოქვეყნებულია ნარკვევები, რომლებიც გვაცნობენ ეკ. გაბაშვილის, ალ. ფრონელის, ექ. თაყაიშვილის, ი. გულისაშვილის, ს. ოცხელის, თ. სახოკიას, გ. ნათაძის, ვ. ბერიძის, მ. ხუროძის, დ. უზნაძის, მ. აბრამიშვილის და სხვათა პედაგოგიურ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას. ნარკვევის ავტორები არიან ჩვენი ცნობილი პედაგოგები, ლიტერატორები და ჟურნალისტები. მათ გულმოდგინედ შეუსწავლიათ ჩვენი ახლო წარსული და გამოუმზეურებიათ მრავალი, დღემდე უცნობი ფაქტები სწავლა-განათლების ისტორიიდან.

წიგნი გამოცემულია ვ. ქაჯაიას რედაქციით.

თინა ჩიგოგიძე

# ფეხბურთელი №?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიახ, ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატი მთელი სკოლა იყო მურთაზ ხურცილავასთვის.

მე ვნახე ინგლისში მურთაზის ყველა გამოსვლა მწვანე მოედანზე, ვესაუბრებოდი მას თამაშის წინ და თამაშის შემდეგაც.

და აი დღეს, როცა ვადარებ მურთაზის მაშინდელ და დღევანდელ თამაშს, ვგრძნობ რაოდენ დიდია განსხვავება.

მურთაზი ინგლისში კარგად თამაშობდა. უფრო მეტიც, ძალიან კარგად. მაგრამ ის მაინც იყო ფეხბურთელი, რომელიც ასრულებდა თავის დავალებას. თბილისელ მცველს ეჭირა საწყისი პოზიცია, იგი იგერიებდა პირველ დარტყმას, იგი ეჯახებოდა შეტევის პირველ ტალღას და ამსხვრევდა, ასუსტებდა მას. ამ შესუსტებულ ტალღას შემდგომ საბოლოოდ უსწორდებოდა საბჭოთა ნაკრების მეორე ცენტრალური მცველი ალბერტ შესტერნიოვი. აქედან გამომდინარე, შესტერნიოვის როლი მაშინ გაცილებით დიდი იყო და იგი ხელმძღვანელობდა კიდეც მთელს დაცვას. ერთი სიტყვით, ინგლისში მურთაზ ხურცილავა იყო მანქანის ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილი და არა მოტორი. ეს მის თამაშსაც კარგად ეტყობოდა. თბილისელი მცველის ბრძოლაში ტემპერამენტი და აზარტი სჭარბობდა. მაგრამ ისიც შეიძლებოდა შეგვემჩნია, რომ მის ტემპერამენტსა და სითამამეში დროდადრო იგრძნობოდა რაღაც ინსტინქტური შიში მსოფლიო ვარსკვლავების წინაშე. დიახ, ინსტინქტური, რადგან მურთაზ ხურცილავამ საერთოდ არ იცის რა არის შიში. ასეთი შიშის შედეგი იყო სწორედ ის პენალტი, რომლითაც იგი დაჯარიმდა პორტუგალიის ნაკრებთან თამაშის დროს. ეს კი ასე მოხდა: მარჯვენა ფრთიდან ჩამოწოდებულ მაღალ ბურთზე ერთდროულად ახტნენ მურთაზ ხურცილავა და ძალზე მაღალი ტანის ტორესი. მურთაზი მაშინვე მიხვდა, რომ საჰაერო ბრძოლა წააგო ტორესთან, ისიც კარგად იცოდა, ტორესს როგორი გოლები გააქვს თავით მოწინააღმდეგის კარში. სწორედ აქ გაიღვიძა შიშის ინსტინქტმა, რომელიც თურმე მაინც ყოფილა თბილისელი მცველის არსებაში. მან ბურთი ხელით შეაჩერა.

თამაშის შემდეგ მურთაზმა ვერც კი ახსნა, როგორ გადაწყვიტა ბურთის ხელით შეჩერება. მე კი მგონია, რომ ეს იყო დიდ ბრძოლებში გამოუცდელი კაცის თავდაცვითი ინსტინქტი. ავტორიტეტების წინაშე ერთგვარი ხარკის გაღება.

ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, როცა ფეხბურთელის გონებაში თანდათანობით დალაგდა მწვანე მოედანზე გადატანილი ბრძოლები, როცა საკუთარი თვალით იხილა და „გემო გაუსინჯა" მსოფლიოში აღიარებული ვარსკვლავების თამაშს, მურთაზ ხურცილავამ ბევრ რამეს შეხედა სხვა კუთხიდან; მან დიდი ფეხბურთის ყველაზე ღრმა კუნჭულებში ჩაიხედა, ყველაფერი ერთ სიბრტყეზე მოაქცია, კონკრეტული და ხელშესახები გახადა.

მურთაზ ხურცილავა თავმდაბალი სპორტსმენია და მსგავსი რამ არავისთან დასცდენია, თუმცა მე მტკიცედ მჯერა, რომ თავის თავს გამოუტყდა, მსოფლიო ფეხბურთის არც ერთ სახელგანთქმულ მცველზე ნაკლები არა ვარო.

ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ მურთაზ ხურცილავა როდი აღიარეს საუკეთესოდ საუკეთესოთა შორის. მაშინ თვითონაც მშვენივრად იცოდა, რომ მის თამაშს ბევრი რამ აკლდა. პირველ რიგში — გამოცდილება და დიაპაზონი. გამოცდილება და სითამამე კი წლებმა მოიტანა, წლებმა და დიდმა ორთაბრძოლებმა უმაღლეს დონეზე. მურთაზ ხურცილავამ იწამა თავისი ძალა, კიდევ უფრო განიმტკიცა რწმენა. თბილისელთა მცველმა ნელ-ნელა გაშალა ფრთები, იგი თანდათან უფრო დიდ სივრცეს დაეუფლა მოედანზე. ახლა მურთაზ ხურცილავა უკვე თავის ზონაში კი არ იყო ძლიერი, იგი უფროდა-უფრო მეტ ფართობზე ახდენდა ზეგავლენას თამაშზე. იგი ნელ-ნელა იქცა მაგალითის მიმცემად, ხელმძღვანელად.

ასეთი იყო იგი შარშან, ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის შემდგომ პირველსავე სეზონში. მისი ხვედრითი წონა გუნდში ყოველი მატჩის შემდეგ იზრდებოდა. წელს კი მურთაზ ხურცილავამ აალაპარაკა ის ჟურნალისტებიცა და სპეციალისტებიც, რომლებმაც ორი წლის წინ, უემბლიზე შესაძლოა ვერც კი შენიშნეს მომავალი ჩემპიონატების გმირი.

აქ მხედველობაში როდი მაქვს მურთაზ ხურცილავას მიერ გატანილი გოლები ევროპისა თუ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში, რომლებიც მსოფლიოში სახელგანთქმულ ფორვარდებსაც კი შეშურდებათ; როდესაც მურთაზ ხურცილავას საუკეთესო მატჩებზე ვლაპარაკობ, პირველ რიგში ვგულისხმობ მას, როგორც ფეხბურთელს, რომელსაც ხელთ უპყრია გუნდის სათავეები, იგი ხელმძღვანელობს გუნდს, აღაფრთოვანებს, სითამამესა და ძალას მატებს ფეხბურთელებს. თვითონ კი, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, თამაშის მიმდინარეობაზე ზეგავლენას ახდენს არა მარტო ცენტრალური მცველის ზონაში, არა მარტო დაცვასა თუ ნახევარდაცვაში, არამედ თითქმის მთელ მოედანზე.

მე ბევრი თამაში მინახავს თბილისელი მცველისა, მაგრამ წლევანდელი მისი გამოსვლა მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ იყო გვირგვინი მურთაზ ხურცილავას საფეხბურთო ტალანტისა. ამ მატჩში მურთაზმა შეძლო გამოემჟღავნებინა ყველა ის თვისება, რაც თავმოყრილია მასში — დიდი ტექნიკა, თამაშის შესანიშნავი ორგანიზაცია, თავგანწირვა, გამარჯვებისაკენ სწრაფვა, თანამებრძოლთა გამხნევება და მოედანზე ცეცხლის დანთება.

ამ მატჩის ანალიზისას „ფუტბოლ-ჰოკეი" წერდა: „ჩვენ არა ერთხელ გვინახავს თუ ჩვენი ნაკრები როგორ ჰკარგავდა ნებისყოფას, სთმობდა ბრძოლას და მინდორს დამარცხებული სტოვებდა, როცა ანგარიშით მოწინააღმდეგე დაწინაურდებოდა ხოლმე. ამჯერად იგი განსაკუთრებული სიმამაცით იბრძოდა სწორედ იმ წუთებში, როცა მეტოქე წინ იყო. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ასეთ წუთებში საბჭოთა გუნდში ყველაზე მამაცი და აქტიური იყო მცველი — მურთაზ ხურცილავა, პირველი გოლის ავტორი და მთავარი ორგანიზატორი და თანაავტორი მეორე გოლისა. მის მაგალითს მიბაძეს სხვებმაც და საბოლოოდ ამან გუნდი გამარჯვებამდე მიიყვანა ღირსეულ მოწინააღმდეგესთან დაძაბულ ორთაბრძოლაში".

ეს თამაში ალბათ ძალიან დიდხანს დარჩება ფეხბურთის გულშემატკივართა მეხსიერებაში. ამ მატჩში მურთაზ ხურცილავამ შეძლო შეუძლებელი. ამიტომაც იყო, რომ ჩეხოსლოვაკიის ნაკრების მწვრთნელმა იგი მატჩის გმირად დაასახელა. და ეს იყო სულ რამდენიმე დღის შემდეგ, რაც თბილისელი მცველი ახე ბრწყინავდა უნგრეთის უძლიერესი ნაკრების წინააღმდეგ ბრძოლაში ევროპის ჩემპიონთა თასზე.

აქ აუცილებლად მინდა მოვიტანო ნაწყვეტი „ფუტბოლ-ჰოკეის" სარედაქციო წერილიდან, რომელიც მურთაზ ხურცილავასადმია მიძღვნილი. ამ წერილში ძალზე ლაკონური შტრიხებითაა მოხაზული ქართველი ფეხბურთელის პორტრეტი:

„ჩვენ თქვენთან ერთად დიდი ხანია ვიცნობთ თბილისის დინამოელ მურთაზ ხურცილავას, ვიცით ამ ცენტრალური მცველის სიმტკიცე და მოქნილობა, მისი სწრაფვა — ითამაშოს სუფთად და პატიოსნად, ვიცით თამაშის მსვლელობით მისი ტემპერამენტიანი გატაცება. შემთხვევითი როდია, როცა ჩვენი ყოველკვირეული დამატება „ფუტბოლ-ჰოკეის" რეფერენდუმზე ჟურნალისტებმა ხურცილავა დაასახელეს შარშანდელ სეზონის მეორე ფეხბურთელად. მაგრამ მთელი თავისი შესანიშნავი ღირსებების მიუხედავად, იგი გუნდში მორიდებით იქცეოდა და ზედმეტს არ იღებდა თავის თავზე.

და აი, უცებ, ჩვენს წინაშეა სულ სხვა, ახალი ხურცილავა, რომელიც კიდევ უფრო მომძლავრდა და ბატონ-პატრონად იქცა მთელ მოედანზე. მან იგემა შეტევის სიტკბო, კარში დარტყმები და, რაც მთავარია, საკუთარი თავი იგრძნო პირად პასუხისმგებლად გუნდის წინაშე, ვალდებულად — აიყოლიოს ამხანაგები, აღაფრთოვანოს ისინი. სწორედ ჩვენი ნაკრების ასეთ მოთამაშედ გამოავლინა თავი ხურცილავამ ამასწინანდელ მატჩებში უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებთან. ორივე შემთხვევაში გადამწყვეტი ოპერაციები, რომლებმაც უზრუნველყვეს გამარჯვება, ჩატარდა მისი მონაწილეობით და ინიციატივით".

და მართლაც, მურთაზ ხურცილავა წელს ატარებს თავის ყველაზე საუკეთესო სეზონს. მაგრამ, ავიატორთა ენაზე რომ ვთქვათ, ეს არის მისი „პერი", მისი ზენიტი? ამ კითხვაზე პასუხს მომდევნო წლები და თვითონ მურთაზ ხურცილავა გაგვცემს.

(დასასრული იქნება)

გურამ ფანჯიკიძე

* გაგრძელება. იხ. „დროშა", № 9.



ის ურჩევნია მამულსა...

# სანაძლეო ვიცე-პრეზიდენტთან

ეს არც ისე დიდი ხნის წინანდელი ამბავია: საბჭოთა კავშირის უძლიერესი მოჭიდავეები საფრანგეთს ესტუმრნენ, რათა ამხანაგური შეხვედრა მოეწყოთ იქაურ მოჭიდავეებთან. მატჩებს ესწრებოდა საერთაშორისო სამოყვარულო ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი როჟე კულონი. იგი აღტაცებული იყო ქართველი ფალავნის ვახტანგ ბალავაძის ჭიდაობით. იმ დღეებში ჩვენი ნაკრების წევრი ქვემძიმე წონაში ავად გახდა და ბალავაძე მის მაგივრადაც გამოდიოდა. ქართველი მოჭიდავე აშკარა წარმატებებს აღწევდა თავის ფრანგ მოწინააღმდეგეებთან შედარებით, რომლებიც მასზე 15-20 კილოგრამით მეტს იწონიდნენ.

უკანასკნელი შეხვედრა ჩვენებს ქ. კლერმონ-ფერანში უნდა ჩაეტარებინათ. ამჯერად მოწინააღმდეგე საფრანგეთის ნაკრები გუნდი იყო. ვახტანგ ბალავაძე კვლავ ორ წონით კატეგორიაში უნდა გამოსულიყო. წინა ღლით ფრანგებმა დიდი ბანკეტი გაუმართეს საბჭოთა კოლეგებს. როჟე კულონი ვახტანგის გვერდით მოხვდა. და აი, სადღეგრძელოს წარმოთქმისას მან ყველას გასაგონად განაცხადა:

— ბატონებო, ხვალ დამთავრდება მუსიო ბალავაძის ტრიუმფალური სვლა. ხვალ იგი დამარცხდება.

სუფრა ახმაურდა, ყველა ბალავაძეს მიაცქერდა.

— გადაუთარგმნე, თუ კაცი ხარ,—უთხრა ვახტანგმა თარჯიმანს, — მუსიო ბალავაძე თქვენს ყველა მოჭიდავეს უკვე იცნობს და იმედი აქვს, რომ თქვენი ფალავანის წაქცევას ექვს წუთზე მეტს არ მოანდომებს.

— კარგი, — გაიღიმა როჟე კულონმა, — თუ ხვალ ბალავაძე თავის მოწინააღმდეგეს ექვს წუთში წააქცევს, მე თორმეტ ბოთლ შამპანურს ვყიდულობ.

მეორე დღეს ვახტანგმა გაიგო, რომ მისი მოწინააღმდეგე მასზე 23 კილოგრამით მეტს იწონიდა. „ჯანდაბას, მაინც ჩემსას ვეცდები", გაიფიქრა მან და მაყურებლებით გატენილ დარბაზში გავიდა. ხალიჩასთან გოლიათი აღნაგობის ფრანგი ელოდებოდა. მერე როჟე კულონის თვალებს წააწყდა — იღიმებოდა ვიცე-პრეზიდენტი. ვახტანგმა რომ შეხედა, მან ოდნავ დაუქნია თავი და იმ გოლიათზე ანიშნა, ნუთუ ამ მთა-კაცს მოერევიო?

მსაჯმა ნიშანი მისცა და ჭიდაობა დაიწყო, დაიწყო და დამთავრდა კიდეც. ფრანგი გოლიათი 16 წამში ბეჭებზე გაშოტილი აღმოჩნდა. დარბაზი გრგვინავდა. როჟე კულონი პროტესტს აცხადებდა: მუსიო ბალავაძემ ექვსი წუთის ნაცვლად თექვსმეტ წამში გაიმარჯვა, სანაძლეო მე მოვიგეო.

იმავე საღამოს ჩვენები გამოემშვიდობნენ სტუმართმოყვარე მასპინძლებს. აეროდრომზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. გამოთხოვებისას ვახტანგს ვიღაცამ მძიმე კალათა შეაჩეჩა ხელში. კალათაში თორმეტი ბოთლი შამპანური იყო...

ასეთი ეპიზოდები ვახტანგ ბალავაძის სპორტულ ცხოვრებაში ერთი და ორი როდი იყო.

„ჭიდაობას რა უნდა, ფეხის გამოკვრა უნდა", წაუმღერებენ ხოლმე ჩვენში საჭიდაოდ გადასულ ფალავანს. სათქმელად ადვილია, მაგრამ რამდენი ჯაფა და შრომა სჭირდება ამ „ფეხის გამოკვრას", ყველაზე უკეთ ეს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, იაპონიაში ჭიდაობის პროფესორად წოდებულმა ვახტანგ ბალავაძემ იცის.

დიდი და საინტერესო გზა განვლო ვახტანგმა სოფელ ღანირის ფალავნობიდან მსოფლიოს ჩემპიონის საპატიო ტიტულამდე. საოცარი ნებისყოფა, უდიდესი შრომისუნარიანობა, შინაგანი დისციპლინა — აი ის თვისებები, რომლებითაც აღჭურვილია ეს შესანიშნავი სპორტსმენი. ვახტანგმა ბრწყინვალედ იცოდა ქართული ჭიდაობა, რომელიც ესოდენ მდიდარია ლამაზი და სხარტი ილეთებით. ეს ცოდნა საფუძვლად უდევს ვახტანგის წარმატებებს საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე.

ძნელია ამ პატარა წერილში ყველა იმ ბრძოლისა და გამარჯვების ჩამოთვლა, რომლებმაც ვახტანგს თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მოჭიდავის სახელი მოუტანეს. მოკლედ კი ეს „ნუსხა" ასე გამოიყურება: ჯერ კიდევ თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლობდა, რომ მან ზედიზედ მოიპოვა თბილისის ჩემპიონის წოდება თავისუფალ, კლასიკურ და ქართულ ჭიდაობაში, მერე კი სსრ კავშირის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტების ჩემპიონის ტიტულიც. 1951 წელს ხდება საბჭოთა კავშირის ჩემპიონი სამბოში. მომდევნო წელს იგი სწავლას განაგრძობს თბილისის უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე და ამავე წელს ხდება სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების წევრი და ჩემპიონი სამბოსა და თავისუფალ ჭიდაობაში. შემდეგ ხდება ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეოთხე მსოფლიო ფესტივალის ჩემპიონი, ხოლო 1954 წელს ტოკიოს მსოფლიო ჩემპიონატში მოიპოვებს მსოფლიო ჩემპიონის სანუკვარ წოდებას — მის წინ ქედი მოიხარეს თურქეთის, იაპონიის, ირანისა და სხვა ქვეყნების სახელგანთქმულმა ფალავნებმა.

გადიოდა წლები. ასპარეზობა ასპარეზობას მოსდევდა, ყოველ ასპარეზობას კი — ქართველი მოჭიდავეების ტრიუმფი. აქ გვინდა გამოვყოთ ბალავაძის ჭიდაობის სტილის კიდევ ერთი მხარე — ესაა პატივისცემა პარტნიორისადმი, რაც სპორტსმენის შინაგანი კეთილშობილებიდან და მაღალი კულტურიდან მოდის. ნამდვილი სპორტსმენისათვის, ოსტატისათვის უხეშობა სავსებით უცხო რამ არის. ნამდვილი სპორტსმენი — რაინდია, და ბალავაძის ჭიდაობის ეს მხარეც მუდამ ხიბლავდა მაყურებელს; ის არასოდეს არ აჰყვებოდა იმ მოპირისპირეს, რომელიც არასპორტულ ფანდებს მიმართავდა.

ვახტანგ ბალავაძე ცხრა წელიწადს სსრ კავშირის ნაკრების უცვლელი წევრი და შემდგომში ამავე ნაკრების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ხუთივე კონტინენტის სტუმარი იყო. ვინ იცის, რამდენი სიხარული და მღელვარება განუცდია. გამარჯვება მისთვის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. სპორტი სპორტია და აქა-იქ წარუმატებლობაც ჰქონია, მაგრამ საკუთარი ძალის რწმენა არასოდეს არ შერყევია და მუდამ მზად იყო საბჭოთა სპორტის პრესტიჟის დასაცავად. დიდია მისი წვლილი სამამულო ჭიდაობის განვითარების ისტორიაში. მან კიდევ უფრო შორს გაუთქვა სახელი საბჭოთა საქართველოს, ქართველთა ვაჟკაცობას და შემართებას.

ამჟამად მსოფლიოს ორგზის და საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ვახტანგ ბალავაძე საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეა. საქართველოს სპორტსმენების ყოველ წარმატებაში კვლავ მისი მადლიანი ხელიც ურევია.

**თამაზ ხიგუა**

ᲘᲝᲐᲜᲐ ᲕᲘᲚᲘᲜᲡᲙᲐ

# ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ ᲙᲐᲤᲔᲨᲘ

სცენის ორი მოპირდაპირე მხრიდან შუაში მდგომ მაგიდას სწრაფად უახლოვდებიან ხანში შესული მამაკაცი და ახალგაზრდა ქალიშვილი. ხნიერი მამაკაცი ფეხს აჩქარებს და უფრო ადრე მიდის მაგიდასთან. ქალიშვილი ამ დროისათვის მოასწრებს და თავის ჩანთას მაგიდაზე აგდებს.

**მამაკაცი** — გთხოვთ მომიტევოთ, მაგრამ ეს მაგიდა უკვე მე დავიკავე.

**ქალიშვილი** — ბოდიში, მაგრამ მე უფრო ადრე დავიკავე, ზედ ჩემი ჩანთა დევს.

**მამაკაცი** — გთხოვთ მომიტევოთ, მაგრამ ჩანთა თქვენ შორიდან ისროლეთ.

**ქალიშვილი** — ჩანთა ჩემია და უფლება მაქვს რა მანძილიდანაც მინდა, იქიდან ვისროლო, გთხოვთ ნუ მასწავლით!

**მამაკაცი** — თქვენ მე გასწავლით? არც მიფიქრია. თუმცა სიმართლე რომ ვთქვათ, არ გაწყენდათ. თუ შეიძლება, აიღეთ ჩანთა!

**ქალიშვილი** — ფიქრადაც არ გავივლებ, რა უფლება გაქვთ, რომ მიბრძანებთ?

**მამაკაცი**—რა გაეწყობა! ასეთ შემთხვევაში იძულებული ვარ, ეს თოფრა ნაპოვნი ნივთების მაგიდას ჩავაბარო (იღებს მაგიდიდან ჩანთას).

**ქალიშვილი** — როგორ ბედავთ! ხელი არ ახლოთ!

**მამაკაცი** — კარგი, აი ჯიბიდან ცხვირსახოცი ამომაქვს და იმით ვიღებ ჩანთას.

**ქალიშვილი** — (გამოგლეჯს ჩანთას). ეშმაკმა უწყის, როგორ იქცევით!

**მამაკაცი** — თქვენ ნერვები წესრიგში არა გაქვთ, ქალიშვილო! სცადეთ, მიირთვით ბრომი, ამბობენ, შველისო!

**ქალიშვილი** — თქვენ შეგიძლიათ არ მიირთვათ, თქვენ არაფერი არ გიშველით.

**მამაკაცი** — მე ერთი რამ მიშველიდა: თქვენ რომ აქედან აიბარგოთ და მე მშვიდად შევძლო გაზეთის წაკითხვა.

**ქალიშვილი** — აი სწორედ ეგ არის, რაც თვითონ უნდა გექნათ. შინ წაბრძანებულიყავით და იქ წაგეკითხათ თქვენი გაზეთი. და არა ჩემს მაგიდასთან.

**მამაკაცი** — თქვენს მაგიდასთან? საინტერესოა, ვარშავის ყველა კაფეშია თქვენი მაგიდები, თუ მარტო აქ?

**ქალიშვილი** — სულელური ხუმრობაა! თქვენს ასაკში უფრო მეტი სერიოზულობაა საჭირო.

**მამაკაცი** — თქვენს ასაკში კი უფრო მეტი ზრდილობაა საჭირო!

**ქალიშვილი** — ახალგაზრდობაშიც ასეთი კრეტინი იყავით, თუ ახლა, სიბერის დროს გამოყეყეჩდით?

**მამაკაცი** — შეხედეთ ამ უზრდელს, შეხედეთ!.. ვაი, იმ ოჯახის ბრალი, სადაც თქვენ ფეხს შედგამთ!..

**ქალიშვილი** — ვაი იმათი ბრალი, ვისთანაც ერთ ჭერქვეშ მოგიხდებათ ცხოვრება... წადით ახლა აქედან (ჯდება).

**მამაკაცი** — არ წავალ! (ისიც ჯდება მაგიდასთან.) მე აქ ძალიან მნიშვნელოვანი ოჯახური შეხვედრა მაქვს დანიშნული და ეს მაგიდა მჭირდება.

**ქალიშვილი** — რა შეხვედრა უნდა ჰქონდეს ასეთ ბებერს! ნამდვილად მნიშვნელოვანი შეხვედრა მე მაქვს დანიშნული და ეს მაგიდა მე მჭირდება.

(შემორბის ახალგაზრდა ვაჟი. უახლოვდება ქალიშვილს და ხელზე ჰკოცნის).

**ახალგაზრდა ვაჟი**—ცოტა შემაგვიანდა! ძლივს მოვხვდი ავტობუსში! (ამჩნევს ხნიერ მამაკაცს და განცვიფრებული ამბობს) როგორ! თქვენ უკვე გაიცანით ერთმანეთი? ჩინებულია!

**მამაკაცი**—გავიცანით? (კაცი გაშტერებული დგას).

**ახალგაზრდა ვაჟი** — მაშ იცნობდეთ ერთმანეთს. (ქალიშვილს) ნება მიბოძე, ძვირფასო, წარმოგიდგინო ჩემი, არა, ჩვენი მამა. მამიკო, სწორედ ეს არის ჩემი საცოლე. ხომ მშვენიერია?!

**მამაკაცი** — მომხიბლავია!

პოლონურიდან თარგმნა
ᲖᲣᲗᲐ ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ.

## ᲓᲐᲣᲬᲔᲠᲔᲚᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ

ისტორიას ახსოვს მრავალი წიგნი, რომლებიც მწერლებს, მეცნიერებს, მოგზაურებს თუ სხვა პროფესიის ადამიანებს დაუწერიათ, მაგრამ ამა თუ იმ მიზეზის გამო ეს წიგნები არ დაბეჭდილა. მეთვრამეტე საუკუნის დასასრულის ფრანგმა რომანისტმა ნიკოლა-რეტი დე ლა ბრეტონმა, რომელიც ორასზე მეტი რომანის ავტორი იყო, სახელი გაითქვა სულ სხვა გზით: მას თავისი ასორმოცდაათამდე წიგნი კი არ დაუწერია, არამედ პირდაპირ დაბეჭდა; გაგიკვირდებათ ეს ამბავი, მაგრამ ყველაფერი გასაგები გახდება მაშინ, როცა შეიტყობთ, რომ ეს ფრანგი მწერალი იმავე დროს ასოთამწყობი იყო. საწერი მანქანები მაშინ არ იყო და ბრეტონმა გადაწყვიტა ბატის ფრთით წერის ნაცვლად, პირდაპირ სტამბაშივე აეწყო თავისი რომანები, რომლებიც ჩაფიქრებული ჰქონდა.ააწყობდა მთელ გვერდს, თვითონვე ხელით ამოიღებდა ანაბეჭდს და თვითონვე ბეჭდავდა.

ოსტატობაც ასეთმა კაცმა უნდა დაიკვეხოს!

გარეკანის პირველ გვერდზე: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ფოტო თარხან არჩვაძისა. მეოთხე გვერდზე: თბილისის ტელესტუდიის დიდი დარბაზი. ფოტო ოთარ თურქიასი.

რედაქტორი გ. ნატროშვილი.
სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.
პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე.

ᲡᲐᲥ. ᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის—99-54-66, პ/მგ. მდივნის—99-82-69, განყოფილებების—93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/IX-68 წ. გამომც. № 82. ქაღ. ზომა 70×108¹/₈. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 40.300. შეკვ. № 3329. უე 02489

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ კუცია — ახალგაზრდა მხატვარი-კარიკატურისტია. მუშაობს როგორც პოლიტიკური, ისე საყოფაცხოვრებო სატირისა და იუმორის ჟანრებში.

ვაქვეყნებთ მის რამდენიმე ნამუშევარს.





სკოლის დირექტორი — დედებო, მე მსურს მოგელაპარაკოთ თქვენი ქალიშვილების ჩაცმულობასა და თმის ვარცხნილობაზე.

— სერ, თქვენ რუსულ სიგარეტს ეწევით?
— დიახ, მშვენიერი სიგარეტია „ავრორა“.
— მე კი სწორედ მაგან მომიღო ბოლო!




შარიანი მეზობელი

— მეზობლებო, მოწმე იყავით, ამ მოქალაქეს სასამართლოში უნდა ვუჩივლო, მან მე ვირიშვილი დამიძახა!



სადღაც ამერიკაში

— საშა, ნიკოლოზ მეორე ჩამოვარდა...
— ეჰ, ახლა კი არა, ორმოცდაათ წელზე მეტია, რაც ეგ ჩამოაგდეს!



— მე ნოდარის მამა ვარ, თქვენ მიბარებდით სკოლაში?



ИНДЕКС 76056

ეროვნული
ბიბლიოთეკა

